საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 136 (938) | ოთხშაბათი, 3 აგვისტო, 1994 წელი | ფასი 15000 კუპონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოვიდა მუშაობის, რეალური მოქმედების დრო!

როგორც ცნობილია, 31 ივლისს გაიმართა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა წლევანდელი წლის ექვს თვეში რესპუბლიკის ეკონომიკის მდგომარეობის საკითხი და უახლოესი ამოცანები.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. მან გააანალიზა განვლილ ნახევარწლეულში ქვეყნის ეკონომიკის დარგებში შექმნილი ვითარება.

— იწყება ეკონომიკის რეანიმირება და ჩვენი სახალხო მეურნეობის კოლაპსიდან გარკვეულად გამოსვლა, თქვა მან. რამ გამოიწვია ერთგვარი გამოცოცხლება? ამის შესახებ იყო ლაპარაკი ბატონ ოთარ ფაცაციას გამოსვლაშიც, ეკონომიკის მინისტრის სიტყვაშიც. მინდა შეგახსენოთ, რომ არის საიმედო დასაწყისი, თუ იქნება მთელი ხალხის, ყველა მოქალაქის ენერგიული საერთო საქმიანობა ქვეყნის გადასარჩენად და, უწინარესად, ეკონომიკის კრიზისიდან გამოსაყვანად. ეს არის ენერგეტიკული წყაროების შედარებით საიმედოობა, ქვეყანაში საერთო სტაბილიზაციის დაწყება, რასაც ზოგი ხედავს, ზოგი — ვერა, ზოგი ამჩნევს, ზოგი — არა.

მაგრამ, მაინც, ფაქტია, რომ სტაბილურობის ფაზაში შევდივართ. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოიკვეთა კურსი აფხაზეთის პრობლემის სამშვიდობო გზით გადაწყვეტისა, კრიმინოგენური ვითარების ერთგვარი გაჯანსაღებისა, ანტიკრიზისული პროგრამის შესაბამისად საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელი ღონისძიებების განხორციელებისა, რაც რეალურად საგრძნობია ზოგიერთ დარგებში. განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაპყრო იმ ბრძანებულებას, რომელსაც ყველანი ერთობლივად ვამზადებდით — პრივატიზაციის ახალი ეტაპის შესახებ. ჩვენი უცხოელი მეგობრების გულწრფელ და საგრძნობ დახმარებას, სავალუტო ფონდისა და საერთაშორისო ბანკის რეკომენდაციებს, რომლებიც უფრო მეტად მატერიალურ გამოხატულებებში გადადის. უნდა აღინიშნოს, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი, საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, ახალი კანონები, რომლებიც გამოირჩევიან ზოგიერთი სხვა ქვეყნების კანონებისაგან. მე ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცე მაქვს მხედველობაში. ასე ვიტყოდი, არა მარტო ლიბერალურობით, არამედ, პროგრესულობითაც, რაც სტიმულს აძლევს ინვესტიციებს და საერთოდ, მეწარმეობას. სერიოზული მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ დაიწყო რუსეთის, თანამეგობრობის სხვა ქვეყნების სახალხო მეურნეობასთან, ეკონომიკასთან ახლებური კავშირების დამყარების რეალური პროცესი, და ამ სფეროში დაიწყო რეალური გარდაქმნა. პოლიტიკის სფეროდან, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის სფეროდან გადავდივართ ეკონომიკაში ინტენსიურ და აქტიურ თანამშრომლობაზე.

როგორც ამ ფაქტორების უმნიშვნელოვანესი შედეგი მოსახლეობის უმეტეს ნაწილში მოხდა შრომისადმი განწყობის აღდგენა, რწმენის დაბრუნება საკუთარ შესაძლებლობებში. ადამიანები მიბრუნდნენ მიწას — ეს ეხება დასავლეთსაც და აღმოსავლეთსაც. მიუბრუნდნენ საწარმოებს, ფიქრობენ მეწარმეობაზე, საკუთარ კეთილდღეობაზე, გაცილებით იმატა ასევე სახელმწიფო პრობლემებისა და აღორძინებისათვის ზრუნვამ.

ეს მოვლენები და პოზიტიური ძვრები, ვიტყოდი, ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაშია, მაგრამ მაინც ყველაფერი სახეზეა. აშკარად სახეზეა ფინანსების ერთგვარი გაუმჯობესებაც, განსაკუთრებით ბოლო 2 თვის განმავლობაში, რაც პირდაპირ კავშირშია ეკონომიკის გამოცოცხლებასთან, იმ ტენდენციებთან, რის შესახებაც ზემოთ მოგახსენებდით. მაგრამ მრავალი ასპექტით ფინანსების ერთგვარი გაჯანსაღება მაინც მოჩვენებითია. რიცხობრივი, ციფრობრივი, პროცენტული მონაცემები დაკავშირებულია ინფლაციის დონის ზრდასთან და ამ საფუძველზე ფორმალურად შემოსავლების გადიდებასთან, თუმცა არის ზოგიერთი იმედის მომცემი რამ — შემოსავლების გეგმა სხვა წლებისაგან განსხვავებით ახლა 8 პროცენტით არის შესრულებული — ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩემი ანგარიშით, შემოსავლების ზრდა ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაშიც კი შესაძლებელია ერთი-ორად გაიზარდოს.

რა თქმა უნდა, დიდ პრობლემად რჩება ის, რომ კუპონი, პრაქტიკულად, გამოდევნილია ჩვენი სავალუტო მიმოქცევიდან, ფულადი ბრუნვის სფეროდან. ასევე განსაკუთრებით საგანგაშოა, ეს ხაზგასმით უნდა ითქვას, ჩვენში დაფიქსირებული სიღატაკის ზღვარი. ძალიან დიდი ფიქრი და დიდი მუშაობა იქნება საჭირო, რომ უახლოეს თვეებში შევარბილოთ მაინც ეს მდგომარეობა. პირდაპირ გეტყვით, რომ ჰუმანიტარული დახმარება რომ არა, ჩვენი მეგობრებისა დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში, მასობრივი შიმშილი გარდაუვალი იქნებოდა.

მიზეზებზე აქ ილაპარაკეს. მიზეზი უამრავია. ნეგატიური მოვლენების საფუძველი საკმაოდ ღრმაა. მართალია, ჩამოითვალა, მაგრამ მე მაინც ხაზგასმით ვიტყვი — ეს არის სამოქალაქო ომის უმძიმესი შედეგები, (როცა სამოქალაქო ომზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში მაქვს კონფლიქტებიც და ის ომი, რომელიც ჩვენ ბოლოს გადავიტანეთ,), ქვეყნის თვითიზოლაცია დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე, ქვეყნის პოლიტიკასა და ეკონომიკაში დესტრუქციული ძალების მომძლავრება, ახლა ნაკლებად, მაგრამ ეს ძალები მაინც არსებობენ და ხელს უშლიან ეკონომიკისა და სტაბილურობის განვითარებას. ეს ის ძალებია, რომლებიც ნგრევისა და გაპარტახებისაკენ უბიძგებენ ქვეყანას. მოხდა სოფლის მეურნეობის ნაჩქარევი დანგრევა, რაც არ გააკეთა ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის არც ერთმა ქვეყანამ. მიწის პრივატიზაცია გარდუვალი პროცესი იყო, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო მართვადი პროცესი. გაუზანაგებლად და გაუპარტახებლად და ყველაფერი ის, რაც იქმნებოდა ათეული წლების განმავლობაში, სახალხო საკუთრებად, ხალხის, მოქალაქეთა საკუთრებად უნდა ქცეულიყო, რაც არ მოხდა და რაც ძალიან ძვირად დაგვიჯდა ნაჩქარევი და პოპულისტური ნაბიჯების გამო. სამწუხაროდ, ამაზე ლაპარაკი დაგვიანებულია. რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მიზეზი ჩვენი ასეთი მძიმე ცხოვრებისა არის კუპონის იძულებითი და მოუმზადებელი შემოღება. ყველამ ვიცოდით, რა შედეგიც მოჰყვებოდა ამას, მაგრამ იძულებული ვიყავით ეს ნაბიჯი გადაგვედგა. არასწორი საკრედიტო პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ლიბერალური დავარქვით, ლიბერალური კი არა, როგორც ახლა ირკვევა, დანაშაულებრივი საკრედიტო პოლიტიკა იყო, რომელიც ასევე ძვირად დაუჯდა ქვეყანას. ამ მიზეზებისა და მიზეზობრივი კავშირების ჩამოთვლა შეიძლება კიდევ უფრო გაგრძელდეს, მაგრამ დღეს ეს მთავარი არ არის, მთავარი მაინც გამოსავლის ძიებაა.

იმის თქმა, რომ სახელმწიფომ არ იცის, რა უნდა აკეთოს, სახელმწიფოს არა აქვს გარკვეული კურსი, პროგრამა, ეს რა მთავრობაა, ეს რა ხელისუფლებაა და ა. შ. — ეს არის უცოდინარი ხალხის არგუმენტები და ლოგიკა და ამას ჩვენ ვერ ავყვებით. ეს ის ხალხია, რომელსაც ეზარება, საღამოს მაინც, თუნდაც ისე, გასართობად, გადაშალოს ის სამასგვერდიანი მასალა, რომელსაც ჰქვია „საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის პროგრამა — ანტიკრიზისული პროგრამა და დამუშავებული ჩვენი მეცნიერების, პრაქტიკოსების, სამინისტროების, უწყებების, ადგილობრივი ორგანოების აქტიური მონაწილეობით. ეს პროგრამა ბევრმა არ შეისწავლა, და ვინც შეისწავლა, იმანაც დაივიწყა. დღეს არავის, არც ერთ გამოსვლაში ანტიკრიზისული პროგრამა არ უხსენებია. უნდა გითხრათ, რომ ეს საკმაოდ სოლიდური, სერიოზულად ნაფიქრ-ნააზრევი დოკუმენტია, მისი მიღების რაღაც 2-3 თვის შემდეგ არქივში ჩადება და გადაგდება, ვფიქრობ, იმას მეტყველებს, რომ ჩვენი საზოგადოება სერიოზულად არ მუშაობს კრიზისიდან გამოსვლის პრობლემებზე. პროგრამა კრიზისიდან გამოსვლის საფუძველია. მასწინანდელ შეხვედრაზე, როცა მის საფუძვლებს, წანამძღვრებს, საწყის დებულებებს განვიხილავდით, ითქვა, რომ პროგრამა მოითხოვს ყოველთვიურ კორექტივებს. ჩვენი ცხოვრება იმდენად რთულია, პოზიტიური თუ ნეგატიური თვალსაზრისით, იმდენად ხშირად ვაწყდებით მოულოდნელობებს, რომ აუცილებელი ხდება ასეთი კორექტივები. მინდა მოვუწოდო განსაკუთრებით ეკონომიკის სამინისტროს და, შესაბამისად, ვიცე-პრემიერებს, სხვა სამინისტროებს, ეკონომიკის ინსტიტუტებს, რომ ყოველ მიზეზგარეშე იფიქრონ ამ პროგრამის სრულყოფისათვის, რათა იგი მართლაც სახელმძღვანელო დოკუმენტი გახდეს. ჩემი აზრით, არც უცნაურობა იქნება და არც შეუძლებელი, თუ ეს პროგრამა უფრო ლაკონიური გახდება. მართლაც, ძნელია 300-400 გვერდის გადამუშავება და სახელმძღვანელოდ მაგიდაზე დადება. ეს, ალბათ, მხოლოდ სპეციალისტებს შეუძლიათ. ამიტომაც იგი გაცილებით ლაკონიური უნდა იყოს, რათა გამოიყენოს სამინისტროს ყველა თანამშრომელმა, ამ სფეროში მოღვაწე ყველა მეცნიერმა, ყველა გამგებელმა, მერმა, ყველა უწყებამ, რომლებიც ეკონომიკასთან არიან დაკავშირებული. ამავე დროს, ბუნებრივია, ასევე ყოველდღიური და ახლებური მიდგომა მოითხოვს კორექტივების შეტანას არა მარტო ცალკეული დებულებების სრულყოფის თვალსაზრისით, არამედ, საკანონმდებლო ბაზის თვალსაზრისითაც. ანტიკრიზისულ პროგრამაში კორექტივის შეტანისთანავე შესაბამისად უნდა ვუცადოთ, რომ მომზადდეს მინისტრთა კაბინეტის სათანადო გადაწყვეტილება, სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება ან რომელიმე კანონპროექტი.

სავსებით სწორად დაისვა დღის წესრიგში და მსჯელობის საგნად გადაიქცა სახელმწიფო სტრუქტურების სრულყოფის ამოცანები, სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტიანობის გაზრდის საკითხი. რაც უფრო მრავალრიცხოვანია სახელმწიფო აპარატი, მით უფრო უმართავი და ნაკლებეფექტიანია მისი მუშაობა და საქმიანობა. აქედან გამომდინარე, უახლოეს დღეებში მინისტრთა კაბინეტმა, რაოდენ მძიმეც უნდა იყოს, უნდა დაიწყოს სახელმწიფო აპარატის სრულყოფა, მისი გაიაფება და გამარტივება, დღეს ძალიან ძნელია მეწარმემ ეძებოს მისამართი, თუ ვისთან უნდა მივიდეს ამა თუ იმ პრობლემის გადასაწყვეტად, იმდენად ბევრი ვართ ჩვენ და ეს, სხვათა შორის, ამ დარბაზსაც ეტყობა. კიდევ კარგი, რომ ყველა არ მოვიდა.

ჩემი აზრით, შეიძლება ამჟამად დღის წესრიგში არ იდგეს სამინისტროთა გაერთიანება, მაგრამ, მაინც უნდა ვიფიქროთ ამაზე; როგორც კი სერიოზულად დაიძრება, დიდ მასშტაბს მიიღებს პრივატიზაცია, შესაბამისი ბრძანებულების შესრულება, ბევრი ჩვენგანი შეიძლება უფუნქციოდ დარჩეს. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, ისეთი სამინისტროები ჩამოვაყალიბოთ და შევინარჩუნოთ, რომლებსაც საქმე ექნებათ. დარჩება თუ არა სამინისტრო, ეს თქვენზეა დამოკიდებული, ბატონო მინისტრებო, თქვენ საჭირო უნდა გახდეთ არა მარტო იმ დირექტორისათვის, რომელიც დღეს სახელმწიფო საწარმოს ხელმძღვანელობს, არამედ, იმ დირექტორისთვისაც, რომელიც ხვალ მეწარმე, მესაკუთრე გახდება, მესაკუთრეთა კოლექტივის ხელმძღვანელი და ლიდერი იქნება. მას ისეთი კაცი დასჭირდება, რომელიც კი არ უხელმძღვანელებს, ბრძანებებს კი არ გასცემს, არამედ, ხელს შეუწყობს, მოახდენს კოორდინაციას, მოეხმარება სხვა ქვეყნებთან კონტაქტების დამყარებაში, კოოპერაციაში, მომარაგებაში და სხვ. მაშინ ისინი მოგძებნიან თქვენ, უფრო სწორად, თქვენ არ უნდა გაუშვათ ისინი როგორც თქვენი კლიენტები, როგორც თქვენი თანამშრომლები, თუ გნებავთ, როგორც კოლეგები. თქვენ საჭირო იქნებით იმისათვის, რომ დაეხმაროთ მათ — პრივატიზებულ საწარმოებს, მეწარმეთა ახალ ფენას; ნუ მიწყენენ მინისტრთა კაბინეტის თანამშრომლები, უნდა გაიაფდეს, გამარტივდეს ეს აპარატი, ზოგიერთი შეიძლება კიდევაც წავიდეს... მინისტრთა კაბინეტი უფრო მოქნილად, ოპერატიულად უნდა მოქმედებდეს, თვეების განმავლობაში განკარგულებები და დადგენილებები არქივში არ უნდა იყოს. უნდა გითხრათ, რომ არა მარტო თქვენი და მოსახლეობის მომართვები, არამედ, სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებებიც, პრემიერ-მინისტრის მითითებანიც თვეების მანძილზე შეუსრულებელი, რეაგირების გარეშე რჩება. ამას ბოლო უნდა მოეღოს. თუ ჩვენ სერიოზულად ვლაპარაკობთ ქვეყნის გაჯანსაღებასა და კრიზისიდან გამოყვანაზე, სახელმწიფო აპარატი, ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურები, ნამდვილად რეფორმატორული სტრუქტურები უნდა იყოს, სწორედ ასეთად უნდა ჩამოყალიბდნენ ისინი და ამავე დროს ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს რეგიონული და ადგილობრივი მართვის სრულყოფა, სწორედ ამიტომ არსებობს მინისტრთა კაბინეტი და სახელმწიფოს მეთაურის აპარატი. ეს არის უდიდესი ადგილობრივი რეზერვი. იმისდამიხედვით, რაზეც ბატონმა შაშიაშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს, ვხედავთ, თუ რის გაკეთება შეიძლება, თითქმის შეუძლებლის წამოწყება შეიძლება ერთ რეგიონში. ჩვენი მოვალეობა ის არის, რომ შევნიშნოთ ყოველივე ეს და მათ მხარი დავუჭიროთ არა მარტო სიტყვით, არამედ, აქტიურადაც დავეხმაროთ, ჩავერიოთ და ექსპერიმენტს, რომელიც დანიშნულებას გაამართლებს, ხელი შევუწყოთ რესპუბლიკაში გასავრცელებლად.

კიდევ და კიდევ შეგახსენებთ, რომ ანტიკრიზისული პროგრამა, რომელზეც ვილაპარაკე, პრაქტიკულად შეიცავს ყველა კომპონენტს, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღებისათვის, ყოველ შემთხვევაში, ასეთი საწყისი არსებობს და გთხოვთ, დაუბრუნდეთ ამ დოკუმენტს.

მე, სხვათა შორის, დავინტერესდი და სანდო ხალხსაც ვკითხე ბევრ სამინისტროში, რეფორმების საბჭოსა და პარლამენტშიც, სადაც უნდა იდოს ეს ანტიკრიზისული პროგრამა, არ დევს, ასე არ შეიძლება.

ახლა ფინანსების გაჯანსაღებასთან დაკავშირებით: სავსებით ვეთანხმები აქ გამოთქმულ შენიშვნებს საკრედიტო ემისიის შესახებ, მაგრამ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ; ეს პროცესი არ შეწყდება, იძულებული ვიქნებით, გავაგრძელოთ იგი, სანამ არ განხორციელდება ფასებისა და ხელფასების შესაბამისობაში მოყვანა, უფრო სწორად, რეფორმა, ახლა უკვე ლაპარაკიდან საქმეზე უნდა გადავიდეთ. ეს არის აპრობირებული აზრი სხვა ქვეყნების მაგალითიდან გამომდინარე, ეს არის აპრობირებული აზრი, სავალუტო ფონდში, საერთაშორისო ბანკში და ყველა მოქალაქემ უნდა გაიგოს, რომ ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კრიზისი პერმანენტული, გაუთავებელი იქნება და ვფიქრობ, ამას არავინ არ ისურვებს.

ახლა შედარებით უფრო უკეთესი მომენტია, იმის მიუხედავად, რომ ზამთრისაკენ მივდივართ. თუ ნორმალურად ვიმუშავებთ, გამოვიზამთრებთ და გაზაფხულსაც მომზადებული შევხვდებით, რადგანაც, გაჩნდა რესურსები და რეალური შესაძლებლობანი, რაც საფუძველს გვაძლევს, შედარებით ოპტიმისტურად ვიყოთ განწყობილი გამოზამთრებასთან დაკავშირებით. ვიმეორებ, თუკი ვიმუშავებთ და ვიმოქმედებთ ისე, როგორც ეს პრემიერმა და ვიცე-პრემიერმა ბრძანეს, არის ძალიან დიდი მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ — მარტო 100 ათას ტონა ხორბალზე არ არის ლაპარაკი, თავისთავად მთავარია მხარდაჭერის ფორმა — მეგობარი ქვეყანა ხედავს, რომ ჩვენ მართლა შიმშილის წინაშე ვდგავართ და საგანგებო რეზერვიდან სათანადო რაოდენობის ხორბალი გამოძებნა. ეს პროგრამა არ მთავრდება, მომავალ წელსაც, კერძოდ, ზამთრისთვისაც, ეს პროგრამა გაგრძელდება, ეს კი რამდენიმე ასეული მილიონი დოლარია, რომლითაც შეგვიძლია შევიძინოთ ხორბალიც, კვების პროდუქტებიც და ქვეყნისთვის აუცილებელი სხვა საქონელიც, დღეს უკვე გაბედულად ვლაპარაკობ იმიტომ, რომ მივიღე ძალიან სასიხარულო, საიმედო შეტყობინება ევროგაერთიანებიდან. მე ხვეწნა-მუდარით მივმართე, სხვა ქვეყნებმაც მიმართეს ევროგაერთიანების სახელმწიფოთა ლიდერებს. ჩვენ გაგვიგეს ისევ ჩვენმა მეგობრებმა და 60-70 მილიონი ეკიუ გამოგვიყვეს ნორმალურად გამოზამთრებისათვის, რათა შიმშილი და სიცივე უბედურებად არ დაგვატყდეს თავს. ეს საკმაოდ დიდი თანხაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ გვეძლევა უფლება, შევიძინოთ პროდუქტები იმ ბაზარზე, სადაც 20 პროცენტის ფასდაკლებით იყიდება. ყველაფერს ერთად თუ ვიანგარიშებთ და გადავიყვანთ დოლარებში, ეს დაახლოებით 100 მილიონი დოლარია. თუ ამ თანხას რაციონალურად, გეგმიანად, ჭკვიანურად, დავხარჯავთ, ყველა ჯურის მაფიოზური ელემენტების ჩაურევლად ვიყიდით, შემოვიტანთ და სამართლიანად გავანაწილებთ, დარწმუნებული ვარ, რომ ზამთარს, შედარებით ნორმალურად გადავიტანთ, არის კიდევ სხვა რესურსებიც იგივე ევროგაერთიანების ხაზით. შეგვიძლია ვიბრძოლოთ 100 ათასი ტონა მაზუთის მიღებისათვის. ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ რუსეთის მიერ 20 მილიარდი მანეთის გამოყოფის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერას. ეს სესხი პრაქტიკულად დღის წესრიგიდან ხსნის პრობლემას, რომელიც უკავშირდება თბოელექტროსადგურის შეკეთებას, წესრიგში მოყვანას და მაზუთის მარაგის შექმნას, თუკი, ვიმეორებ, ყოველი მანეთი დანიშნულებისამებრ, იქნება გამოყენებული.

არის ზოგიერთი სხვა იმედისმომცემი ცნობაც. აქ ბრძანდება ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე — ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, რომელიც საინტერესოდ მუშაობს, კარგი კონტაქტები დაამყარა უცხოელ პარტნიორებთან. გერმანელები მას შეჰპირდნენ 30 მილიონი გერმანული მარკის მედიკამენტების შემოტანას, რაც თითქმის 2-3 წლის მარაგია. ეს ძალიან დიდი დახმარებაა პენსიონერების, ინვალიდებისა და სხვებისათვის, რომლებსაც დღეს არ შეუძლიათ ელემენტარული სამკურნალო საშუალებები შეიძინონ. არის სხვა რეზერვებიც. კიდევ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეს მაინც გარეშე ფაქტორებია, რომლებიც არ შეიძლება მუდმივი იყოს. აღარ გავიმეორებ იმას, რაც ჩვენმა სტუმარმა თქვა: სავალუტო ფონდი და ჩვენი მსოფლიო ბანკი (იგი ჩვენიც არის, რადგან სიმბოლური შენატანი გვაქვს და წევრი ვართ), იმის მიუხედავად, რომ ისინი არ ანებივრებენ სახელმწიფოებს კრედიტებით. თუ ჩვენ მათ მოთხოვნებს შევასრულებთ, სხვა გზა კი ჩვენ არა გვაქვს, დაგვეხმარებიან, რომ წლის ბოლოსათვის ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციის მიზნით, გარკვეული მატერიალური, ფინანსური, საკრედიტო მხარდაჭერა მივიღოთ.

კიდევ ერთხელ მინდა შევეხო ფასების ლიბერალიზაციას, ხელფასებისა და პენსიების გარკვეულ შესაბამისობას. თუ ეს ამოძრავდება, მაშინ ამოძრავდება კუპონიც და ისიც საჭირო გახდება. ახლა, კილოგრამი პური 700 კუპონი ღირს. ჰუმანიტარული დახმარებით, უფასოდ გამოგზავნილი პურიც კი სახელმწიფომ უნდა გაყიდოს, რადგან იგი დიდ დოტაციას საჭიროებს. ეს საკითხი უნდა მოგვარდეს, როგორც შაშიაშვილმა თქვა, ალბათ, მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის ბევრი არაპოპულარული ღონისძიება ხორციელდება ქუთაისში, მაგრამ ხვალ ეს ისევ მოსახლეობის სასიკეთოდ შემობრუნდება, ამიტომ, ასეთი ნაბიჯი უნდა გადავდგათ.

მეორე აქტუალური საკითხია საგადასახადო სისტემის სრულყოფა, ხანდახან საქმე აბსურდამდე მიდის, არაფერს ვამბობ იმაზე, თუ რამდენი რამ არის აღურიცხავი. მაგალითად, ჩვენ ვბეგრავთ, გადასახადს ვახდევინებთ იმ საწარმოებს, ან იმ მეწარმეებს, რომლებსაც საქართველოში შემოაქვთ ბამბეულისა და შალის ნედლეული, ბამბეულისა და შალის ნაწარმი, ესე იგი მთელი მსუბუქი მრეწველობა (სადაც 100 ათასი კაცი მუშაობს), რომ დგას და არაფერს არ ქმნის, არც გადასახადს იხდის — ეს არავის არ აწუხებს, მთავარია, იყოს გადასახადი. კაცი თავისი ინიციატივით წავიდა, იშოვა ბამბა, მატყლი, ნართი, შემოაქვს და ტყავს ვაძრობთ, არ ვაძლევთ საშუალებას, რომ აწარმოოს, საბოლოო პროდუქცია შექმნას და მერე მივიღოთ გადასახადი, მივიღოთ ის, რაც სახელმწიფოს ეკუთვნის. შეიძლება, ჩვენ ზოგი რამ არ გვესმოდეს, რადგან, საბაზრო ეკონომიკა და მისი პრინციპები ჩვენთვის ახალია, მაგრამ ეს ანბანია, მეოთხე კლასის ფარგლებში ჩვეულებრივი ანგარიში ხომ უნდა ვიცოდეთ, შემიძლია, უამრავი ისეთი მაგალითი მოვიყვანო, როცა ნედლეულის შემოტანა არ არის სტიმულირებული, ნედლეულით ღარიბესი ქვეყანა პირიქით, სტიმულს უნდა აძლევდეს მის შემოტანას, უნდა იქით შააბალისოს, ოღონდ შემოიტანოს, ოღონდ რაღაცა შექმნას და მერე ის გადასახადი თავისთავად შეადგენს სიმდიდრეს და ბიუჯეტს, რომელიც ჩვენ ახლა ასე გვჭირს.

უნდა გითხრათ, რომ ბატონ რემი ვაშაკიძეს მე ძალიან დიდ პატივს ვცემ, შემსრულებელი კაცია, იმის მიუხედავად, რომ ძველ დროში რკინიგზაზე გაფიცვებში მონაწილეობდა, ხანდახან საჭიროებისას, იგი თავსაც სწირავს ხოლმე, მაგრამ ტარიფებში ვერ დავეთანხმები, ეს სერიოზული შეცდომაა, როგორ შეიძლება, ჩვენ და აზერბაიჯანი ერთმანეთს შევეჯიბროთ, ვის უფრო მაღალი ტარიფები აქვს, რაც უფრო მაღალი იქნება ტარიფი, მით უფრო ნაკლები იქნება ჩვენთან მოძრაობა, მით უფრო ნაკლები იქნება რკინიგზის დატვირთვა, მით უფრო ნაკლები იქნება შემოსავალი, მათ შორის, დოლარისა და რუსული მანეთისა. როცა მაღალი ტარიფები შემოვიღეთ, სადღაც 23 დოლარი იყო, მოძრაობა პრაქტიკულად შეწყდა — ხალხი გადავიდა ნოვოროსიისკში, საზღვაო გზაზე და რკინიგზა დარჩა მხოლოდ ჩვენი დაკვეთების ამარა.

ასევე კადასტრთან დაკავშირებით: როგორ შეიძლება არ არსებობდეს მიწის გადასახადი? ვერ იარსებებს ასეთი ქვეყანა, ეს არის აბსოლუტური უვიცობა და უგერგილობა. ჩვენ ვლაპარაკობთ მიწის პრივატიზაციაზე, ახალ მესაკუთრეთა ფენაზე და ა. შ. და, ამავე დროს, მიწა უფასოა. ეს წარმოუდგენელი ამბავია. მე უნდა მივესალმო ბატონ ზურაბ გეგეჭკორს — იგი მოაზროვნე კაცია და თავისი ინიციატივით სერიოზულად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, ეს საკითხი არა მარტო სოფლის პირობებშია მოსაგვარებელი, არამედ, უწინარესად, დედაქალაქში, ჩვენ რომ გუშინწინ შევიკრიბეთ დედაქალაქის გენერალურ გეგმასთან დაკავშირებით, რაც ასე ცუდად გააშუქა ტელევიზიამ, იქ ცენტრალურ საკითხად იქცა, როგორც ქალაქის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, მიწის კადასტრის დამუშავება, ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ეკონომიკის ახალი სისტემა ფრაზები კი არ არის, სწორედ ამ კომპონენტებისაგან შედგება და ნამდვილ რეფორმამდე იმ შემთხვევაში მივალთ, თუ აუცილებელ ნაბიჯებს გადავდგამთ და აუცილებელ ღონისძიებებს განვახორციელებთ.

ქვეყანაში ახლა ძალიან მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ხელფასების გაცემასთან დაკავშირებით. მე ყველას ვეთანხმები, რომ რაც შეიძლება ნაკლები ფულის მასა უნდა გამოვუშვათ, ხელი უნდა მოვუჭიროთ, ვიცოდეთ, სად რა მიდის. ბატონ პაპავასა და სხვების გამოსვლები სწორია, მაგრამ, როგორ შეიძლება ადამიანს ხელფასი არ გადაუხადო? ეს გამორიცხული უნდა იყოს. როგორი პროცესიც უნდა მიმდინარეობდეს ქვეყანაში, 70 მილიონი ეკიუ — არის თუ არა ეს ბიუჯეტის შემოსავალი, თუკი მოხდა ფასების შესაბამისობაში მოყვანა? ეს იმ ხარჯების დაფარვის წყაროა, რომლებიც ხელფასებთან და სტიპენდიებთან არის დაკავშირებული; დროებითი, მაგრამ მაინც წყარო, რომლითაც 4-5 თვის განმავლობაში შეგვიძლია ვისაზრდოოთ. ანდა, ამერიკელების გამოგზავნილი ხორბალი, ესეც წყაროა, კრედიტები — დროებითი, მაგრამ ესეც ხომ წყაროა!

მეგობრებო, მინისტრებო, ვიცე-პრემიერებო! თქვენ ყოველდღიურად უნდა იფიქროთ და ეს საკითხები გადაწყვიტოთ, აი, როცა თქვენ ოპოზიციაში თუ ინსტიტუტებში იყავით, გქონდათ უფლება, რამდენიც გნებავთ, გაგეკრიტიკებინათ მთავრობა, სახელმწიფოს მეთაური, ახლა დაიკაპიწეთ ხელები, იმუშავეთ და გადაწყვიტეთ საკითხები. მე პასუხისმგებლობას როდი ვიხსნი, თქვენთან ერთად უნდა ვღვარო ოფლი, მაგრამ ასეთ საკითხებს თქვენ უნდა მიხედოთ. როგორ შეიძლება, რომ პარიზში დაბეჭდილი კუპონი, ურომლისოდაც ადამიანი ვერ არსებობს, მთელი 15 დღის განმავლობაში ვერა და ვერ შემოვიტანეთ. რა ვიცე-პრემიერები, რა მინისტრები ვართ? მე ძალიან მკაცრად მოგკითხავთ ყველას, ძველსაც და ახალსაც. სხვანაირად აღარ შეიძლება. ის, რაც ჩვენ გვაინტერესებს — შემოტანა, — იცით, რომ გადასახადი უნდა გაუქმდეს. რატომ არ ყვიროდით? მომიტანეთ ბრძანებულება და ხვალვე ხელს მოვაწერ. პარლამენტში მივალ, დავუჩოქებ, შევეხვეწები, მოვაწერ ხელს, გადავიდეთ ამ გაუთავებელი ანალიზებიდან და დასკვნებიდან ცოცხალ, რეალურ მუშაობაზე, არსებობს ანტიკრიზისული პროგრამა, გვაქვს საკმაოდ ჯანსაღი შეხედულებები და დადგა მოქმედების დრო.

გუშინ მე პირველ შეკრებაზე მოვიწვიე საგანგებო საკოორდინაციო კომისია, რომელშიც ძალისმიერ უწყებებთან ერთად შედიან პრემიერ-მინისტრი და სხვები, ამ კომისიას აქვს ყველა ის ფუნქცია, რაც სახელმწიფოს მეთაურს, გუშინ ითქვა, ვინც ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, უნდა წავიდეს, თვითონ თუ ვერ ხვდება, მაშინ, ალბათ, მე უნდა მივახვედრო, ასეთი ხალხისაგან უნდა განვთავისუფლდეთ, ვინც უნდა იყოს, რა რანგისაც უნდა იყოს — გამგებელი, მერი, მინისტრი თუ სხვა. დღეს ისეთ მდგომარეობაშია ქვეყანა, რომ მარტო კაიკაცობის პრინციპით ვერ ვიხელმძღვანელებთ, ეს ამჯერად, მხოლოდ შეპირება არ არის.

გუშინ ჩვენ პრინციპში შევთანხმდით ძალიან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე. ეს არის საკონტროლო მუშაობის მოწესრიგება. ქვეყანაში, რა თქმა უნდა, კონტროლი უნდა იყოს. კონტროლი ყველგან არსებობს, მაგრამ საქართველოში იგი განსაკუთრებით გვიყვარს — ყოველი მეორე კაცი კონტროლიორია. როგორ იქნება მოწესრიგებული საკონტროლო საქმიანობა: ჩვენ ვთქვით, რომ კონტროლი არ შეიძლება გადაიქცეს მეწარმეთა დევნის ანტიპოდურ მოვლენად, ანტაგონისტურად განწყობილ სტრუქტურებად. მეწარმეობა არ განვითარდება ასეთი მასირებული და უმართავი კონტროლის პირობებში. თბილისში ქალაქის მერის ხელმძღვანელობით შემოვიღეთ ახალი სისტემა. იქმნება სპეციალური ჯგუფი პოლიციის, პროკურორისა და საკონტროლო პალატის შემადგენლობით, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას — შემოწმდეს თუ არა ესა თუ ის ობიექტი. ეს მუშაობა ქალაქში უკვე დაიწყო. ასევე იქნება რაიონებშიც, რაიონის გამგებლის მონაწილეობით. თუ ქალაქის მერი და ბატონი გამგებელი არ იმსახურებენ ნდობას და არსებობს სხვა მონაცემებიც, რომ თავად ისინი უწყობენ ხელს მაფიურ ელემენტებსა და სხვა, მაშინ საკითხი უნდა მოხსენდეს სახელმწიფოს მეთაურს და სახელმწიფოს მეთაური დანიშნავს შემოწმებას. ერთადერთი ორგანიზაცია, რომელზეც არ ვრცელდება შეზღუდვა, ეს არის საგადასახადო სისტემა. ჩვენ ამ სისტემაზე ძალიან დიდ იმედებს ვამყარებთ. ჩვენი ბიუჯეტის შემოსავლის 80 პროცენტი მაინც ამ სისტემის სწორ მუშაობაზე იქნება დამოკიდებული და ამ დღეებში მე ამ სისტემასთან მექნება შეხვედრა, შემდეგ კი კოლექტიური შეხვედრებიც. ამდენად კონტროლის საკითხი, ასე თუ ისე, მართვადი გახდება. ვიცი, რომ ეს თქვენ ყველას გაწუხებთ, რაც კიდევ ერთხელ ხაზგასმით მიუთითებს, რომ კი არ განთავისუფლებთ, არამედ ხაზგასმით მიგანიშნებთ თქვენს პასუხისმგებლობას. ესე იგი, ჩვენ გენდობით და ეს ნდობა ყველამ უნდა გამოიყენოს ხალხისა და ქვეყნის სასარგებლოდ. რაიონსა და ქალაქში წესრიგი უნდა იყოს.

ვთხოვ ბატონ თემურ ბასილიას, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებს, ჩაუჯდით და გაარკვიეთ, რა კანონმდებლობა გვაქვს ისეთი, რომელიც გვაძლევს გარანტიას, რომ შემოსავალი დაფარული არ იქნება. მაშინ ასეთი ფრაზა ვიხმარე: კომუნისტური რეჟიმის დროს არსებობდა გამოთქმა — სოციალისტური საკუთრება წმიდათაწმიდაა, ვინც ხელს ახლებს, დაისჯება. დახვრეტის ჩათვლით. მე არ ვამბობ, ამ ზომამდე უნდა მივიდეთ-მეთქი, მაგრამ შემოსავლების დაფარვისა და საგადასახადო პრობლემისადმი დაახლოებით ასეთი რეჟიმი უნდა შემოვიღოთ. ესე იგი, ადამიანმა ვერც კი უნდა გაბედოს ფიქრი იმაზე, რომ შეიძლება შემოსავლის დაფარვა, მისი სადღაც, რომელიმე ქვეყანაში გატანა. სანამ ჩვენ ამ სისტემას არ შევქმნით, მანამდე ლაპარაკიც ზედმეტია სერიოზულ და ჯანსაღ ბიუჯეტზე. გთხოვთ, ერთი თვის ვადაში ყველაფერი ეს დაამუშაოთ და მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით შეხვიდეთ პარლამენტში სათანადო კანონების გასამკაცრებლად და მისაღებად.

ამავე დროს ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ უცხოელ ინვესტორებთან მუშაობის პირობებს. ვიცი, რომ არის კანონი, მაგრამ კიდევ გადავხედოთ იმ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომლებსაც გვაძლევენ მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, სხვა ქვეყნების გამოცდილება. რუსეთს ჰქონდა საკმაოდ მკაცრი პირობები და ვერაფერი მოიგო, პირიქით, წააგო. რაც უფრო ლიბერალური იქნება უცხოელი ინვესტორის შემოსვლის პირობები, მით უფრო ჩქარა მივიღებთ მაღალ ეკონომიკურ ეფექტს, უფრო ჩქარა გამოცოცხლდება ჩვენი ეკონომიკა. გთხოვთ, ეს საკითხი შევისწავლოთ და სპეციალური მსჯელობის საგნად ვაქციოთ.

მეტი ინტენსიურობით უნდა წარიმართოს საბანკო რეფორმა, სერიოზული საბანკო რეფორმა. ლაპარაკია მთელი საბანკო სისტემის სრულყოფაზე. ჯერჯერობით მუშაობს საბჭოთა ბანკი, ჩვენი ეროვნული ბანკი საბჭოთა ბანკია. ძველ დროში ჯავახიშვილზე უფრო მკაცრი ხალხი იყო და შესანიშნავად იცოდნენ, რომ ემისია ცუდია, თუ მეტია შემოსავალი და ნაკლები გასავალი — კარგია. ეს ყველამ კარგად იცოდა. ეროვნული ბანკის არსებობას ყველა უნდა გრძნობდეს. ეროვნული ბანკი უნდა იყოს ყველასათვის კანონმდებელი. ეროვნულ ბანკს, ისევე როგორც ფინანსთა სამინისტროს, არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი არც ერთი ხვრელი, რათა რაც შეიძლება მეტი შემოსავალი შემოუვიდეს სახელმწიფოს. ყველაფერი ეს უნდა შევნიშნოთ. მე დიდ პატივს ვცემ აქ გამოსულ ორატორს — ბანკის ვიცე-პრეზიდენტს, მაგრამ, არ გეწყინოთ, ეს იყო უსუსური გამოსვლა. მე ველოდი სხვაგვარ გამოსვლას. სხვა პირობებში ასეთ ვიცე-პრეზიდენტს არ გააჩერებდნენ. აქ უნდა იყოს სასტიკი მოთხოვნა, ისევე როგორც თქვენც უნდა იყოთ მომთხოვნი და შემოქმედებითად ეკიდებოდეთ ყველა პრობლემასა და საკითხს.

ეროვნულ ბანკში მე ვერ შევნიშნე ძალიან დიდი ენთუზიაზმი, მაგალითად, იმ პროგრესთან დაკავშირებით, რომელიც დაიწყო შემნახველ ბანკში. ძალიან სერიოზული საქმე დაიწყო. თქვენ წარმოიდგინეთ 400 ათასი კაცი სახელმწიფოს დახმარებით ნამდვილი მეპაიე, მესაკუთრე ხდება. მათი ფსიქიკისათვის, სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებისათვის ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მინდა ცალკე მოვისმინო ასევე ის მოსაზრებები, რომლებიც აქვთ „ინდუსტრია ბანკში", ის, რაც არის „აგრობანკსა" და სხვა ბანკებში. მინდა კიდევ ერთხელ ცალკე შევხვდე კომერციული ბანკების ხელმძღვანელებს. არ შეიძლება უარყოფა, რომ აქ არის სახელმწიფო ბანკი და კომერციული ბანკი. თუ კარგი კომერციული ბანკია, იგი სახელმწიფოსათვის მუშაობს.

ბატონი ბაგრატიონი, რომელიც დღეს გამოვიდა, ჭკვიანი და განათლებული კაცია, მაგრამ ლექცია წაიკითხა, როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება უცხოური ვალებისადმი. ეს ჩვენც კარგად ვიცით. გეთქვათ ერთი-ორი სიტყვა, რა რეზერვები არსებობს, როგორ მივუდგეთ ამას, როგორ გადავწიოთ ვადები, რა გავაკეთოთ. არაფერი ამის მსგავსი არ თქმულა. მე გთხოვთ — ბანკირებმა, ფინანსისტებმა უნდა ისწავლოთ ახლებურად მუშაობა. თუ საბაზრო ეკონომიკის პირობებში შემოქმედებაზეა ლაპარაკი, უწინარესად, ბანკირები და ფინანსისტები უნდა იყვნენ შემოქმედი და ამავე დროს — მკაცრი.

რასაც მოგახსენებთ, ეხება რაიონებსაც და ქალაქებსაც, იქაურ საბანკო-საფინანსო სისტემებს, გამგებლებს და სხვებს. ბატონ გამგებლებს ვთხოვ, ვიცი, როგორი მძიმეა თქვენი სამუშაო დღე, მაგრამ კვირაში ორი დღე მაინც უნდა. მოძებნოთ იმისათვის, რომ თქვენ ბანკებში ჩაჯდეთ, რადგან ბანკიდან მოჩანს ის, რაც არასდროს არ გამოჩნდება კაბინეტიდან.

ვთხოვ ყველა გამგებელს, კარგად ჩაიხედონ პრივატიზაციის პროცესში. ეს პროცესი ახლა აღარ შეჩერდება. თქვენ იცით, რამდენს ყვიროდნენ ერთი წლის, წლინახევრის წინათ — აგვიანებთ რეფორმებს, კონსერვატორები ხართო და სხვ. არ შეიძლებოდა ომის პირობებში პრივატიზაციის განხორციელება. ახლა ქვეყანა ცოტათი რომ დამშვიდდა, ისეთი ტემპითა და მასშტაბით უნდა წარიმართოს პრივატიზაცია მრეწველობაში, ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, სხვა სფეროებში, რომ შეიქმნას ფუნქციონირების ნორმალური პირობები.

რაც შეეხება ჩრდილოვან ეკონომიკას. ჩემი ახალგაზრდობა ასეთ ეკონომიკასთან ბრძოლას შევალიე და არაფერი გამომივიდა. სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება ეს ამბავი. ერთხელ ვთქვი და ვადასტურებ: მოხდა ფარული პრივატიზაცია, ამას ვერაფრით ველარ ვუშველით, ეს მოთავებული ამბავია. ჯობია დავაკანონოთ იგი, ამოვიდეს ეს ხალხი სოროდან, თუ ბანდიტები და მკვლელები არ არიან. მაშინ ისინი სხვაგან უნდა ისხდნენ. ჯობია, დროულად მოხდეს ყოველივე ამის ლეგალიზება, საქვეყნო, საჯარო მსჯელობის საგანი გახდეს. სხვა შემთხვევაში ჩვენი ბრძოლა მაფიურ კლანებთან მარტო ზოგად ლოზუნგებად დარჩება. რაც შეეხება ნამდვილ მაფიურ კლანებთან ბრძოლას, რომელმაც საქმე არ იცის, მოვიდა ქუჩიდან იარაღით და დღესაც იარაღით უნდა იშოვოს ფული, რა თქმა უნდა, ხელჩართული ბრძოლაა საჭირო, თუმცა, ეს ძალიან ძნელია. ყველა თქვენგანს ახსოვს, რამდენიმე წლის წინათ შეწყდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მაფიაზე კინოსურათების გამოშვება. 10-15 წლის წინათ ეს მაფიური კლანები პირდაპირ სჭამდნენ საზოგადოებას და იტალიის, ამ უმაღლესი დონის განვითარების, ეკონომიკის, კულტურის ქვეყნისათვის მაფიური პრობლემები დღესაც პრობლემად რჩება. ამის წინააღმდეგ მთელი სისასტიკით უნდა გავშალოთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოძრაობა. სხვანაირად წესრიგი არ დამყარდება.

ისევ და ისევ მივმართავ ვიცე-პრემიერებს: რამდენჯერ ითქვა, შემოიტანეთ მინისტრთა კაბინეტის სხდომებზე და ვნახოთ, რა არის ეს გადასაცვლელი პუნქტები. დარწმუნებული ვარ, გადასაცვლელი პუნქტების, ბანკების მუშაობა სამაგალითოდ რომ იყოს მოწყობილი, სავსებით ნორმალური პირობები შეიქმნება ეროვნული ვალუტის განსამტკიცებლად და საჭირო გახდება ეროვნული ვალუტა.

როცა რეზერვებზე მოგახსენებდით, საკმაოდ საინტერესო პერსპექტივაა ნავთობის წარმოება და ესეც ჩვენი ოპტიმიზმის ერთი ელემენტია.

და კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომელიც მივიღეთ და მგონია, თქვენთვისაც საინტერესო უნდა იყოს. ბევრი რაიონი მოწყვეტილია ცენტრიდან. რეგიონებში შევქმენით სხვადასხვა სტრუქტურები, თუმცა ისინი ისე ვერ ართმევენ თავს საქმეს, როგორც საჭიროა, და ამ სტრუქტურების სრულყოფა ან გაუქმება უნდა მოხდეს. ყველაზე მეტად დატანჯულია სამცხე-ჯავახეთი, პრაქტიკულად მისი მცხოვრებლები მოწყვეტილი არიან დედაქალაქს. გარდა იმისა, რომ გამგებელი ჩამოვა წელიწადში ორჯერ, მათ არაფერი არ აკავშირებთ დედაქალაქთან და ცენტრთან. ამიტომ ჩვენ გუშინ მივიღეთ გადაწყვეტილება შეიქმნას ახალციხეში რეგიონული ცენტრი. ეს იქნება მხარე, გნებავთ გუბერნია დიდი უფლებებით, მას გადაეცემა რესურსები, რეზერვები გასანაწილებლად, მათ შორის ენერგიაშემცველები, თანხები, პროდუქტები და სხვ. ეს იქნება ცენტრი, რომელიც უნდა დაეხმაროს რაიონის მოსახლეობას, გამოიტანოს ის, რაც გამოსატანია. ახლა ესეც შეუძლებელია. ათი გადასახადი უნდა გადაიხადოს, ათჯერ უნდა გააძრონ ტყავი ახალქალაქიდან მომავალ კარტოფილისა თუ ხორცის გამყიდველს, ვიდრე თბილისამდე მოაღწევდეს (ეს პრაქტიკულად ყველა რაიონს ეხება). ახალი მაგისტრალი იხსნება თურქეთთან — ართვინის პროვინციასა და ამ ზონას შორის, უამრავი სხვა პრობლემაა და, ვფიქრობ, ამ გადაწყვეტილებასაც გაგებით შეხვდებით.

მინდა გამოვთქვა იმედი, რომ დღევანდელი ჩვენი შეკრება წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, გამოვიტანოთ ერთი მთავარი დასკვნა — ლაპარაკი ლაპარაკად ნუ დარჩება. მოვიდა მუშაობის დრო. მოვიდა მოქმედების დრო!

საბანკო რეფორმა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებისათვის

2 აგვისტოს, პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა სახელმწიფო-კომერციული ინდუსტრიული ბანკის „ინდუსტრიაბანკის" გამგეობის თავმჯდომარეს თამაზ მაღლაკელიძეს.

საუბარი შეეხო საბანკო სისტემის რეფორმის მიმდინარეობას რესპუბლიკის ბანკებში, კერძოდ, „ინდუსტრიაბანკში". შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ახალი ხელმძღვანელობის მოსვლასთან ერთად, ბანკში დაიწყო სტრუქტურული რეორგანიზაცია, ინერგება ახლებური კომპიუტერული და ტელესაკომუნიკაციო სისტემები, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს საბანკო ანგარიშსწორებას, როგორც რესპუბლიკის შიგნით, ასევე საზღვარგარეთის ბანკებთან. საუბარი შეეხო ბანკის საწესდებო კაპიტალის უზრუნველყოფის საკითხებსაც, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს უცხოელი პარტნიორების მოზიდვას ბანკის აქციონირების საქმეში. აღინიშნა, რომ საბანკო რეფორმა და ამ რეფორმებისათვის ბანკების მზადყოფნა, მიმდინარე ეტაპზე, ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. განსაკუთრებულად აღინიშნა ის ქველმოქმედება, რომელსაც „ინდუსტრიაბანკი" ქართული კულტურის, მეცნიერების, სპორტისა და ჯანმრთელობის დაცვის აღორძინების მიზნით ეწევა.

„ინდუსტრიაბანკის" გამგეობის თავმჯდომარემ თამაზ მაღლაკელიძემ აღნიშნა, რომ ბანკის გამგეობა სრულიად მზად არის აქციონირებისთვის და უახლოეს პერიოდში მომზადდება სათანადო დოკუმენტაცია ამ პროცესის განსახორციელებლად.

შეხვედრის დასასრულ სახელმწიფოს მეთაურმა სრული მხარდაჭერა და თანადგომა აღუთქვა „ინდუსტრიაბანკის" გამგეობის თავმჯდომარეს საბანკო რეფორმის განხორციელების საქმეში და გამოთქვა სურვილი, ახლო მომავალში ადგილზე შეხვდეს ბანკის ხელმძღვანელებს.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

სამცხე-ჯავახეთი:

მომავალი ჩვენვე უნდა შევქმნათ!

სამცხე-ჯავახეთი.— საქართველოს სამხრეთის კარიბჭე, მდიდარი ისტორიული წარსულისა და კულტურული ტრადიციების კუთხე. საქართველოს არც ერთ მცხოვრებს არ სჭირდება დღეს სტრატეგიული თუ პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით გამორჩეული ამ რეგიონის მნიშვნელობის შეხსენება. მაგრამ ბოლო წლებში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა თავისი ხელი, სრულიად საქართველოსთან ერთად, ამ უმშვენიერესსა და უმდიდრეს კუთხესაც დააჩნია — მოიშალა და განადგურდა ეკონომიკა, რომელმაც თავისთავად გამოიწვია თანმდევი უმძიმესი პროცესები: მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის უკიდურესი დაცემა, კრიმინოგენური ვითარების გამწვავება, მთელ რესპუბლიკაში ვირუსივით მოდებული ძარცვა-ყაჩაღობა ტრასებზე... ყოველივე ამას დაერთო დანარჩენი საქართველოსაგან თითქმის სრული იზოლაცია, რომელიც გამოიწვია ელექტროენერგიის კრიზისმა, კავშირგაბმულობის მოშლამ, რკინიგზის გაჩერებამ, სხვა მრავალმა ობიექტურმა გარემოებამ. ერთი სიტყვით, დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დადგა საკითხი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტაბილიზაციის მიზნით, აქტიური მასშტაბიანი მოქმედების დაწყების აუცილებლობის შესახებ. ყოველივე ამის განსახორციელებლად კი, ცენტრალურ ხელისუფლებასთან დამაკავშირებელი შუალედური რგოლის შექმნა გახდა საჭირო რეგიონში სახელმწიფოს მეთაურის პირადი და სრულუფლებიანი წარმომადგენლის — სახელმწიფო რწმუნებულის სახით.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ რამდენიმე დღის წინათ გამოსცა განკარგულება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში თავისი პირადი და სრულუფლებიანი წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ. კანდიდატურაც შეირჩა — სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი ვალერიან ბაქრაძე, ბატონ ედუარდ შევარდნაძის დახასიათებით, უაღრესად სერიოზული ბიოგრაფიის მქონე, გამოცდილი და საიმედო პიროვნება. სწორედ მის წარსადგენად და რეგიონის საზოგადოებრიობისათვის ამ სტრუქტურული სიახლის შემოღების მიზეზების განსამარტავად იწვია 1 აგვისტოს ახალციხეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. მას ახლდნენ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი, მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თემურ ფიფია, ქალაქ თბილისის მერი ნიკოლოზ ლეკიშვილი და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნუგზარ ჟღენტი. გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ ამ მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის გარდა, რეგიონის საზოგადოებასთან გამართულ შეხვედრაზე სხვა არაერთი საჭირბოროტო თემაც წამოიჭრა, რომლებმაც კიდევ ერთხელ ცხადყვეს სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილების სისწორე. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრიობასთან შეხვედრამდე რეგიონში შემავალი რაიონების გამგებლებთან თათბირის დროს ეს აზრი, შექმნილ სიტუაციაში საკუთარი პასუხისმგებლობისა და რეგიონის წინაშე მდგარი პრობლემების სიღრმისეული გააზრების ფონზე, ყველამ ერთხმად დაადასტურა.

ამ ხანმოკლე სამუშაო თათბირს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოჰყვა მხარის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრა, რომელსაც სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა დიდი ინტერესითა და იმედით მოელოდა, ამის დამადასტურებელი იყო, თუნდაც ახალციხის გამგეობის შენობასთან თავმოყრილი ასობით ადამიანი, რომლებიც, უბრალოდ, ვერ დაიტია სხდომათა დარბაზმა.

პირველი სიტყვები, რომლებითაც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მიმართა შეკრებილთ, იყო მადლიერების გამომხატველი ამ შესანიშნავი კუთხის ყველა მცხოვრებისადმი, რომლებმაც ქვეყნის ძნელბედობის ჟამს უმძიმესი გამოცდას გაუძლეს და მხარი დაუჭირეს საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას, თანადგომა გამოუცხადეს ხალხის მიერ არჩეულ ქვეყნის ხელისუფლებას. — ეს არ არის ლიტონი სიტყვები, — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, რადგან, როცა ხალხს უჭირს, ძნელია მხარი დაუჭირო იმ მთავრობასა და ხელისუფლებას, რომელიც ყველაფერს ვერ აკეთებს თავისი მოქალაქეების კეთილდღეობისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონი მოკლებულია ტელევიზიისა და სხვა საინფორმაციო წყაროებს, სახელმწიფოს მეთაურმა საჭიროდ მიიჩნია მისი მოსახლეობისათვის გაეზიარებინა თავისი მოსაზრებები ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

— თავისებურად წარიმართა მოვლენები საქართველოში, აღნიშნა მან, — ბევრმა მოვლენამ მახინჯი ხასიათი მიიღო, რამაც მძიმე კვალი დააჩნია ქვეყნის ცხოვრებას, მის აწმყოსა და მომავალს. ჯერ ყველაფერი, რა თქმა უნდა, არ მოგვარებულა, მაგრამ გარკვეული ძვრები უკეთესობისაკენ უკვე საგრძნობია. ჩამოყალიბებულია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის გადაწყვეტის კურსი და მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ ეს პრობლემები მოგვარდება. ამის ერთ-ერთი გარანტიაა ისიც, რომ გადავლახეთ მემკვიდრეობით მიღებული სიძნელეები რუსეთთან ურთიერთობაში.

აქვე ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ სწორედ რუსეთთან ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებაზე, გაეროსა და ევროპულ სტრუქტურებთან აქტიურ თანამშრომლობაზე ბევრად არის დამოკიდებული იმ პერსპექტივების რეალობად გადაქცევა, რომლებიც ამ მხარეს აქვს სამომავლოდ.

— რუსეთიც დაინტერესებულია საქართველოს მთლიანობით, — აღნიშნა მან, — რათა საიმედო მეზობელი ჰყავდეს. მართალია, იქაც სხვადასხვა ძალები მოქმედებენ, მაგრამ მე სწორედ ჯანსაღად მოაზროვნე რუსეთი მაქვს მხედველობაში. ამას ადასტურებს ჩვენი ბოლო შეხვედრები რუსეთის ხელმძღვანელობასთან, ფედერაციის საბჭოსა და სათათბიროს წარმომადგენლებთან. ეს შეხვედრები გვარწმუნებს, რომ იმედები, რომლებსაც ამ ურთიერთობაზე ვამყარებთ, მალე რეალობად იქცევა. რუსეთმა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ მიიღეს საერთაშორისო ორგანიზაციების მანდატი, მშვიდობიანი გზით გადაწყვიტონ აფხაზეთის პრობლემა. ყველაფერი მომზადებულია პრაქტიკული საკითხების განსახორციელებლად. სულ მალე დაიწყება ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი, წინააღმდეგ შემთხვევაში სიძნელეებს წავაწყდებით ჩვენც და რუსეთიც.

ამასთან, მინდა კვლავ გავიმეორო, რომ არ არსებობს პრობლემები, რომლებსაც ვერ გადაწყვეტენ ქართველები და აფხაზები. ჩვენი საუკუნოვანი ძმობის ტრადიციები მაძლევს ამის თქმის უფლებას. იგივე მინდა ვთქვა ქართველებისა და ოსების ურთიერთობაზე. ეს პოლიტიკანების მიერ წამოწყებული ხელოვნური ომებია, რომლებიც ძალიან ძვირად დაუჯდა ჩვენს ხალხებს. ჩვენ გადავიტანეთ სამოქალაქო ომი, რომელმაც გაანადგურა და დაარბია საქართველო. ამასთან, ჩვენ აღმოვჩნდით თვითიზოლაციაში, ჩვენივე ხელით დავანგრიეთ საწარმოები, ქარხნები, მოვშალეთ სიმძლავრეები, ტრანსპორტი... გავხლიჩეთ ჩვენი საზოგადოება. ახლა ბევრი სიძნელე დაძლეულია, აღარც სამოქალაქო ომის საფრთხე არსებობს და აღარც ქუჩაში გამოსვლის სურვილი, უსუსურ ძალებს აღარ გაჰყვება საქართველო, რადგან იგი დაიღალა უსაგნო კამათით, პოლიტიკანობით, ომებით, სისხლისღვრით. მხოლოდ საქმით მოევლება ქვეყანას, რომელსაც აღმშენებლობის დიდი რეზერვი აქვს.

სახელმწიფოს მეთაურმა გააცნო შეხვედრის მონაწილეებს ის შესაძლებლობები, რომლებიც შედარებით ნორმალური გამოზამთრების იმედს იძლევა, კერძოდ, დახმარება ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ევროგაერთიანებიდან, რუსეთიდან, აგრეთვე, იმედის მომცემი აქტიური თანამშრომლობა მსოფლიო ბანკთან, რომელიც შექმნის პირობებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. აქვე იგი შეეხო ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებულ პრობლემებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს ფასებისა და ხელფასების შესაბამისობაში მოყვანისა და ეროვნული ვალუტის განმტკიცებისათვის.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ყურადღება გაამახვილა მეგობრობისა და თანაცხოვრების იმ საუკეთესო ტრადიციების შენარჩუნებისა და განმტკიცების აუცილებლობაზე, რომლითაც გამორჩეულია სამცხე-ჯავახეთის რეგიონი. აქ მცხოვრები სომხები, რუსები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები ამ მხარის მკვიდრი მოსახლეები არიან და ამ ურთიერთობას განსაკუთრებული მოფრთხილება ესაჭიროება. ასევე არ უნდა არსებობდეს გამოთქმა „ჩამოსახლებული აჭარლები", — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, — ვინაიდან ეს არის ერთიანი, მთლიანი და განუყოფელი რეგიონი, — საქართველოს ორგანული შემადგენელი ნაწილი.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა ილაპარაკა რეგიონის უნიკალურ ბუნებრივ სიმდიდრეებზე, მის მნიშვნელოვან სტრატეგიულ და გეოგრაფიულ მდებარეობაზე. აღნიშნა, რომ სულ მოკლე ხანში შესაძლებელი იქნება თურქეთსა და საქართველოს შორის მაგისტრალის გახსნა, რომელიც დიდ სიკეთეს მოუტანს სამცხე-ჯავახეთის ყველა რაიონს, ხელს შეუწყობს ვაჭრობის, კომერციის განვითარებას, პროდუქციის გაცვლას. აქვე მან ხაზგასმით აღნიშნა მხარის კულტურისა და მეცნიერების მძლავრ ცენტრად ჩამოყალიბების შესაძლებლობა, აბასთუმნის სამეცნიერო ცენტრის განვითარების ხელშეწყობის, ტურიზმის აღორძინების აუცილებლობა.

ყოველივე ამის განხორციელებას, — აღნიშნა დასასრულს სახელმწიფოს მეთაურმა, — სჭირდება პროცესების გონივრული და კოორდინირებული მართვა. რაიონების გამგებლებს დიდი უფლებები აქვთ და მომავალში ეს უფლებები უფრო გაფართოვდება, მაგრამ დღესდღეობით მაინც დარღვეულია კავშირი ცენტრსა და რაიონებს შორის. ამიტომაც შეიქმნა ისეთი რგოლის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც ამ ხარვეზს გამოასწორებს.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განუმარტა შეკრებილთ სახელმწიფო რწმუნებულის ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები, აუხსნა ამ შუალედური რგოლის სტრუქტურული თავისებურებანი.

სახელმწიფოს მეთაურის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას მხარი დაუჭირეს ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის რაიონების თავკაცებმა მერაბ კუბლაშვილმა, გიორგი წითლანაძემ, ნუგზარ სარჯველაძემ, სტეფანე სტეფანიანმა, ჯუმბერ კურტანიძემ და რაფიკ არზუმანიანმა, აქვე ისინი მოკლედ შეეხნენ ცალკეულ რაიონებში არსებულ პრობლემებს, ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების აუცილებლობას. ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით რეგიონის წარმომადგენლებს საქმიანი წინადადებები შესთავაზა ქალაქ თბილისის მერმა ნიკოლოზ ლეკიშვილმა და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნუგზარ ჟღენტმა. კოლეგიურობის, ურთიერთპატივისცემისა და საერთო საქმისადმი ულალატო დამოკიდებულების იმედი გამოთქვა თავის შემოსვლაში სახელმწიფო რწმუნებულმა ვალერიან ბაქრაძემ.

ნდობისა და ერთსულოვნების ვითარებაში ჩამთავრებული ამ შეხვედრის შემდეგ, რომელსაც ვერაფერი დააკლო ორიოდე „ურწმუნო თომას" სკეპტიკურმა გამოსვლამ, სახელმწიფოს მეთაური თანხლებ პირებთან ერთად ეწვია ახალციხეში დისლოცირებული ქართული არმიის ერთ-ერთ ბრიგადას. მის პატივსაცემად გამართულმა სამხედრო აღლუმმა კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა, რომ არცთუ შორეულ მომავალში საქართველოს ნამდვილად ეყოლება თავისი ძლიერი, დისციპლინირებული და, რაც მთავარია, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ნამდვილი ჯარი.

სამცხე-ჯავახეთის მომავლისადმი რწმენა კიდევ უფრო განგვიმტკიცა ამ ისტორიული კუთხის კულტურისა და განათლების ცენტრში — ახალციხის უნივერსიტეტში სტუმრობამ. უნივერსიტეტი, რომელიც გაისად პირველ სპეციალისტებს გამოუშვებს, დღეს უკვე რეგიონის მეცნიერების განვითარების ნამდვილი კერაა, რომელშიც ქართულ ენაზე სწავლობენ სხვადასხვა ეროვნების სტუდენტები. რექტორმა მერაბ ბერიძემ, პერსპექტივებთან ერთად, ისაუბრა პრობლემებზე, რომლებსაც უნივერსიტეტი დამოუკიდებლად, მხოლოდ თავისი ძალებით ვერ მოაგვარებს. ამ პრობლემების კონკრეტიზაციას არ შევუდგებით, ერთს ვიტყვით მხოლოდ — ახალციხის უნივერსიტეტს, ყველამ, ვისაც ეს შეუძლია, უნდა შეაშველოს ხელი, რათა არ მოიშალოს და კიდევ უფრო განმტკიცდეს ის უმდიდრესი კულტურული ტრადიციები, რომლებითაც გამორჩეულია საქართველოს ეს ისტორიული მხარე.

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორ.

საქართველოს ეროვნული ბანკის გამგეობის

დადგენილება

1994 წლის 2 აგვისტო

საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი ნიმუშის 50 ათასი კუპონის ღირებულების ნიშნების მიმოქცევაში გაშვების შესახებ

საქართველოს ეროვნული ბანკის გამგეობა ადგენს:

1. გაშვებულ იქნეს მიმოქცევაში საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი ნიმუშის 50 ათასი კუპონის ღირებულების ნიშნები.

აღნიშნული ნიშნების ძირითადი შეფერილობა და ზომა 2, 3, 20 და 1994 წელს გამოშვებული 100 ათასი კუპონის ღირებულების ნიშნების იდენტურია. ფულის ნიშნის ორივე მხარეს თვალნათლივ შეიმჩნევა ფერადი ბოჭკოები, ღია მომწვანო ფერისაა. მასზე მითითებულია გამოშვების წელი — 1994.

2. ეს დადგენილება კუპონის ახალ ნიმუშთან ერთად გამოქვეყნდეს პრესაში.

პრეზიდენტი
ნ. ჯავახიშვილი.



თუ გიფიქრიათ, რატომ ხდება, რომ ყველაზე მარტივ და სწრაფ პასუხებს, როგორც წესი, ყველაზე რთულ პრობლემებთან კავშირში ვხვდებით? გარე სამყაროზე რომ არაფერი ვთქვა, მარტო პატარა საქართველოში ასობით ადამიანმა „იცის" როგორ ამოუყვანოს ბაირონის ქოჩორი მელოტს და განკურნოს განუკურნებელი სენით დაავადებული ადამიანი. ჩვენი დღევანდელობის გათვალისწინებით კი, რა გასაკვირია, რომ ამდენი თვითნასწავლი მკურნალი გამოუჩნდა საქართველოს. ყველასა აქვს საკუთარი „უნივერსალური" რეცეპტი; ზოგს ღმერთის იმედი აქვს, ზოგს რუსეთში დიქტატურის დამყარების (?), ზოგს სილამაზისა და სიყვარულის, ზოგი პოლიგამიას გვთავაზობს (საინტერესოა მხოლოდ, კუპონით თითო ცოლს რის ვაი-ვაგლახით ვარჩენთ და 4-ს რა შეინახავს?), ერთმა სიმპათიურმა მუსიკათმცოდნე ქალბატონმა კი ტელეეკრანიდან გვამცნო — საქართველოს კონცერტები გადაარჩენსო. ღმერთმა უსმინოს ყველა ნეტარ მორწმუნეს, ისე კი რაღაც ვერ ვიხსენებ, რომ სიმღერას, ლოცვას, ჰარამხანას, სიყვარულს და მეზობელ ქვეყანაში დამყარებულ დიქტატურას გამოეყვანოს ღრმა კრიზისიდან რომელიმე სახელმწიფო. პირველ რიგში ამისათვის ხალხის თავაუღებელი შრომა და მთავრობის უშეცდომო კურსია საჭირო (ამ „რეცეპტის" პატენტზეც ვერ მექნება პრეტენზია, ეს ჯერ კიდევ ძველმა რომაელებმა იცოდნენ).

თავაუღებელ შრომას რომ სათანადო განწყობა და სტიმული სჭირდება ესეც ცნობილი ფაქტია. არც ის არის დიდი აღმოჩენა, რომ საქართველოში შექმნილი სიტუაცია აღმშენებითი შრომისათვის ნაკლებ სტიმულს იძლევა. მიზეზი მრავალია. ჩემი აზრით, ერთ-ერთი უმთავრესია ყველასათვის ერთნაირად დამღუპველი დაპირისპირება. ღმერთმა ნუ მოგვასწროს ისეთ ხელისუფლებას, რომლის ყოველ ნაბიჯს მთელი მოსახლეობის „99 მთელი და 99 მეასედი პროცენტი" დაუჭერს მხარს. ავად თუ კარგად ეს გოლგოთა მაინც დავძლიეთ. ოპოზიცია არსებობს და მომავალშიც გარანტირებული აქვს ადგილი საქართველოს მზის ქვეშ. აქ სადავო და საეჭვო უკვე აღარაფერია. სხვა საკითხია, რომ ცივილიზებული სამყაროს პოლიტიკურ სპექტრში „შეურიგებელი" ოპოზიციისათვის, იმათთვის, ვინც ბრძოლის პოლიტიკურ მეთოდებს უარყოფს და თავისუფალ არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს, არ მოიძებნება ადგილი. არაპერსპექტიულია ის ჩვენშიც. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ელემენტარულად მცდარი და წამგებიანია მათი ბრძოლის ტაქტიკა. ელექტროგადამცემებისა და ხიდების აფეთქებით არც ერთი ხელისუფლება არ გადამდგარა მსოფლიოში და არც გადადგება. პოსტტოტალიტარულ საქართველოში კი არა, იტალიასა და გერმანიაშიც კი ერთი მინისტრიც არ გადაჰყოლია „წითელი ბრიგადების" ტერორისტულ აქტებს. ყველგან და ყოველთვის მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობა ზარალდებოდა.

ერთი გაბედეთ და „სუსტი პოლიტიკოსი", „დილეტანტი" ან „ფანატიკოსი" უწოდეთ რომელიმე ჩვენს „შეურიგებელს"; ღვთის რისხვას დაგატეხს თავზე, თუ მოგწვდა. „საზოგადოებრივ საწყისებზე" ერთ რჩევას გულწრფელად მივცემდი ნებისმიერ „შეურიგებელს" (საბაზრო ეკონომიკის სინამდვილეში?): „შეურიგებლობითა" და ტერორით ვერც ხელისუფლებას შეცვლით, ძმებო, და ვერც პოტენციური ამომრჩევლების ხმებს გაინაღდებთ. ერთ საყურადღებო მაგალითსაც მოგაწვდით უცხო ქვეყნების „შეურიგებელთა" პოლიტიკური ბრძოლის ქრონიკებიდან; პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისა და „ხამასის" „შეურიგებლობა" საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მათი შერიგება კი არა, მშვიდობიანი თანაარსებობაც აბსოლუტურად შეუძლებელი შეიქნა მას შემდეგ, რაც არაფატი ისრაელს დაუზავდა, როგორ ებრძვის „ხამასი" არაფატის ორგანიზაციას? ხიდებსა და ელექტროგადამცემებს აფეთქებს ახალი ავტონომიის ტერიტორიაზე, რომელსაც პრაქტიკულად უკვე არაფატი აკონტროლებს? არავითარ შემთხვევაში! ძვირად დაუჯდა არაფატს სადამ ჰუსეინის ერთი კოცნა — არაბული სამყაროს ზომიერმა რეჟიმებმა ფინანსური დახმარება შეუწყვიტეს. გაუჭირდა არაფატს და იძულებული გახდა შეეწყვიტა ნაბლუსის უნივერსიტეტის დაფინანსება (უნივერსიტეტს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია ინახავდა). დახურვის საფრთხის წინაშე აღმოჩენილ უნივერსიტეტს მხსნელად სწორედ არაფატის „შეურიგებელი" მოწინააღმდეგე — „ხამასი" მოევლინა. შედეგმაც არ დააყოვნა და პირველსავე ადგილობრივ არჩევნებში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხმები „ხამასმა" მიითვალა. სწორედ „ხამასი" აპირებს ყველაზე მეტი სახსრების დაბანდებას ავტონომიისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე, თუმცა ავტონომიის იდეა და ისრაელთა ზავი მისთვის კატეგორიულად მიუღებელია.

ტერმინის შეურაცხყოფაა „პოლიტიკოსი" უწოდო ადამიანს, ვინც მზად არის მთელი ქვეყანა გადააყოლოს ერთი კაცის სიძულვილს. თავის მემუარებში რუსეთის პრეზიდენტი ელცინი ტყის ხანძარს ადარებს სიძულვილს, რომელსაც ვერ ჩააქრობ, სანამ ყველაფერი არ გადაიბუგება. ელცინის აზრით, ამ სიძულვილის მძევალი აღმოჩნდა ე. შევარდნაძე. სამოქალაქო ომში გამარჯვება მხოლოდ ომით, დიდი სისხლისღვრის ფასად, შეიძლებაო, — სთვლის ელცინი და იქვე აღნიშნავს, რომ ე. შევარდნაძის ნებისმიერი სამშვიდობო ინიციატივები, რომელსაც თავის დროზე „იზიარებდნენ დასავლეთის უდიდესი სახელმწიფოების პრეზიდენტები, ნატოელი სამხედროები, გაეროს უშიშროების საბჭო", უშედეგო აღმოჩნდა სამოქალაქო დაპირისპირებისას.

მადლობა ღმერთს, რომ სამოქალაქო ომმა ტყის ხანძარივით არ შთანთქა მთელი საქართველო; შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო ომი ჩვენში „ცივ" სტადიაში გადავიდა. ერთი მხრივ, მისასალმებელია, რომ ყოფილი ხელისუფლების ისეთი ერთგული მომხრენიც კი, როგორიც „მრგვალი მაგიდის" წევრები არიან, საჯაროდ აცხადებენ, რომ ბრძოლის მხოლოდ პოლიტიკურ მეთოდებს სცნობენ, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია რა იგულისხმება „კანონიერი ხელისუფლების აღდგენის" უკომპრომისო მოთხოვნაში; მხოლოდ პოლიტიკური, მშვიდობიანი ბრძოლით ნებისმიერი ხელისუფლების დაბრუნების ერთადერთი გზა არსებობს — კანონიერი არჩევნები. ბრძოლის სხვა ფორმა უკვე აღარ არის მშვიდობიანი. არა მგონია იგივე „მრგვალი მაგიდის" ან სხვა „შეურიგებელი" დაჯგუფების წევრები ისეთი გულუბრყვილოები იყვნენ, რომ კანონიერი არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლების ნებაყოფლობითი გუნდური გადადგომის იმედი ჰქონდეთ. ვინ დაითვალა, რამდენ ადამიანს მოუწევს თანამდებობის ნებაყოფლობით დატოვება? ასეთი რამ არსად არ მომხდარა და არც საქართველოში მოხდება. მეორე მხრივ, ვისაც უკანონოდ მიაჩნია ბოლო არჩევნები, ის არა მარტო ე. შევარდნაძესა და მის მომხრეებს, არამედ, მეტი რომ არაფერი ვთქვა, მთელ პარლამენტსაც უცხადებს ომს. ნუთუ ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ასე ძნელი გასათვლელია?

...წლეულს, გაზაფხულზე, გაეროს ექსპერტთა ერთი საყურადღებო მოხსენება გამოქვეყნდა; ეს არის პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს განვითარების ყოველწლიური ანალიზი, რაც მთავარია, შეფასებათა კრიტერიუმად მიჩნეულია არა ამა თუ იმ კონკრეტული ქვეყნის სიმდიდრის ზრდის ტემპი, არამედ, როგორ გამოიყენება ეს სიმდიდრე, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის, განათლების დონის ამაღლებისა და საერთო სიღატაკის შემცირების ინტერესებისათვის. ავტორიტეტულ ექსპერტთა მონაცემებით, განვითარებად ქვეყნებს შორის საუკეთესო მაჩვენებლები აღმოაჩნდათ ბარბადოსს, ჰონკონგს, კვიპროსს. სიის ბოლოში აღმოჩნდნენ ტაჯიკეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი, გვინეასთან და ავღანეთთან ერთად. განვითარებულ ქვეყნებში პირველ ადგილზე კანადა გავიდა. ამერიკის შეერთებული შტატები — მერვეზე. „მოწინავეთა" და „ჩამორჩენილთა" გრძელ ნუსხაში უგზოუკვლოდ დაიკარგა საქართველო. მოკლედ, არც მკვდრებში ვირიცხებით და არც ცოცხლებში. რა უფრო საინტერესო უნდა იყოს, ჩვენთვის — კანადას რომ ჩამოვრჩებით, თუ ავღანეთს რომ ვუსწრებთ? მთავარი, რაც ყველას უნდა გვაინტერესებდეს, ალბათ, მაინც ის არის, ზემოხსენებული მიზნებისათვის როგორ იხარჯება დღევანდელი საქართველოს მწირი რესურსები და შესაძლებლობები.

გამოუსწორებელი უმადური, ან პოლიტიკური დემაგოგი უნდა იყოს, რომ დღევანდელ ჩვენს ხელისუფლებას პრეტენზია წაუყენო — მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ნაკლებად ზრუნავო. ნორმალურ ადამიანს დღეს ეს აზრად არ მოუვა, მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება ხალხისა და მთავრობის ურთიერთობა...

...როცა ბრიტანეთი მეორე მსოფლიო ომში ჩაბმული აღმოჩნდა, თავის ცნობილ რადიო მიმართვაში, ჩერჩილი მხოლოდ „ცრემლს, ოფლსა და სისხლს" შეპირდა თანამემამულეებს. ხალხმაც გაუგო მთავრობას და უდრტვინველად, ერთ მუშტად შეკრულმა გადაიტანა ომის უმძიმესი წლები. არც საქართველოს დღევანდელ მთავრობას უნდა ჰქონდეს ამ მხრივ რაიმე სერიოზული პრეტენზიები ჩვენთან, რიგით მოქალაქეებთან, თუმცა გულახდილად რომ ვთქვათ, ხალხის გაგებაც კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება; დღეს რომ ყველა უწყებას უჭირს, ცნობილი ფაქტია. ამიტომაც იძულებული არიან ყოველდღიურად გაგვიძვირონ თავიანთი სამსახური. პირადად ჩემთვის გაუგებარი მხოლოდ ის რჩება, ჩემსა და ჩემსავით კუპონის შემყურე მილიონობით მოქალაქის სასიცოცხლო ინტერესებს ვინღა იცავს? ათასჯერ ბოდიშს ვუხდი ბ-ნ ვიცე-მერ კაპანაძეს და მის ხელქვეით ბ-ნ გუმბერიძეს („თბილისლიფტი"), მაგრამ ნუ გაუკვირდებათ თუ მაღლივ კორპუსებში მცხოვრები ასობით ათასი თბილისელი „არასაპარლამენტო" ეპითეტებით მოიხსენიებს თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის № 10. 13. 93 დადგენილების ავტორებს. მართლაც რეი ბრედბერის ფანტაზია უნდა გქონდეს, რომ 300 ათასი კუპონის ხელფასიან კაცს ამერიკის დოლარებში დაუწესო ლიფტის მომსახურების ტარიფი. რაკი მერიაზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარე ბოლომდე ვიტყვი სათქმელს; ყველას გვესმის, რომ მართლაც კატასტროფამდეა მისული ქალაქის მეურნეობა, ცხელ წყალსა და გათბობას ვინღა ჩივის, ზაფხული დადგა და ნაგავში იხრჩობა ქალაქი, სადარბაზოებში გოჭების ტოლი ვირთხები ადამიანებს აღარ ერიდებიან. თუ სასწაული არ მოხდა, დღე-დღეზე ეპიდემიაა მოსალოდნელი. რა ქნას მერიამ; არა აქვს ბენზინის ფული, რომ ნაგავი გაიტანოს, არა აქვს ბიტუმის ფული, რომ ცენტრალურ ქუჩებზე მაინც ამოავსოს ნაზამთრალი ორმოები, არა აქვს... არა აქვს... არა აქვს... და ჰოი საოცრებავ! რამდენიმე დღის წინათ ტელევიზიით გადაიცა ინფორმაცია — მონტე-კარლოში ქართული საბალეტო დასი გაემგზავრება და ხარჯებს თბილისის მერია გაიღებსო. ენა როგორ მომიბრუნდება, რომ ჩვენი ქალაქის მამები სახსრების „არადანიშნულებისამებრ ხარჯვაში" დავადანაშაულო; თუ ვისმეს სჭირდება დღეს დახმარება, ერთ-ერთ პირველებს კულტურის სფეროს მუშაკებს, მაგრამ მერიის მთავარი ამოცანა ხომ მაინც ქალაქის მოვლა-პატრონობაა? კი, ბატონო, ვიცი, რომ კეთილშობილი ქველმოქმედებისათვის დაზოგილი სახსრებით არც ნაგავს ეშველება და არც გზებს, თანაც

სოსო ცინცაძე

მოვლენათა

„....ჩვენ მარტო შენი და

ანუ რა გადაარჩენს

თუ შენი პირდაპირი სამსახურებრივი მოვალეობაა, ამისათვის მადლობასაც არავინ გეტყვის, აი, ქველმოქმედებით კი „ტელე-ქულაც" შეიძლება ჩაიწერო, მაგრამ მთავარი აქ სულ სხვაა — ხელისუფლებასა და ხალხს შორის გაუცხოვების სინდრომს ეხება საქმე.

თუ კვლავ „შეურიგებლებს" არ მივიღებთ მხედველობაში, რიგით მოქალაქეში ყოველივე ეს (და სხვაც მრავალი) დღევანდელი საქართველოსათვის ყველაზე საშიშ სენს — აპათიას იწვევს, რაც მთელ მსოფლიოში დემოკრატიის დაუძინებელ მტრად ითვლება. საერთო აპათიის პირველ ნიშნებს კი უკვე ცხადად ვხედავთ; განა ამას არ მეტყველებს რუსთავში ჩატარებული არჩევნების სერია? ამომრჩეველთა 75 პროცენტი (!) არ მონაწილეობდა არჩევნებში, პოლიტიკურ ბოიკოტზე მეტი და საშიში — აპათია იყო.

როგორ ვებრძოლოთ ტოტალური აპათიის საფრთხეს? თუ სხვა ქვეყნებში აპრობირებულ რეცეპტებს მოვიმარჯვებთ, საერთო იდეა, სტიმულია საჭირო. ყველამ იცის, რომ ფრანკოს შემდგომ ესპანეთში გადამწყვეტი როლი მეფემ და თანხმობის იდეამ შეასრულა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ესპანელებს ასე სწამთ.

არაფერია უჩვეულო იმაში, რომ ესპანელთა გამოცდილების ტრანსპლანტაციას ჩვენც შევეცადეთ, რუსეთიც. ერთი კი, უნდა ვაღიაროთ, რომ თუმცა შთამბეჭდავი შედეგები არსად ყოფილა დაფიქსირებული, მაგრამ თვითონ პროცესი და შეთანხმების რეალიზაციის მექანიზმი რუსეთში ჩვენზე უკეთ გაითვალეს. საერთო მხოლოდ ის იყო, რომ არც იქ და არც აქ, „ისტორიული თანხმობა" პოლიტიკური კულტურის ტრადიციებს არ ემყარებოდა. რუსეთის პოლიტიკური ელიტისათვის, როგორც ჩანს, ოქტომბრის მოვლენები მაინც იქცა „ღია გაკვეთილად". თავის მხრივ საზოგადოებასაც მობეზრდა კონფრონტაციული პოლიტიკა.

სხვა მომენტებთან ერთად, კრემლში, 25 აპრილს ხელმოწერილი დოკუმენტის მნიშვნელობას ის ფაქტიც ზრდის, რომ მასში დაფიქსირებულია რეფორმების უკვე მიღწეული პოლიტიკურ-ეკონომიკური დონე და დაუშვებლად არის აღიარებული რესტავრაციული ტენდენციები. ამას გარდა, დოკუმენტის ავტორებმა არ დაიზარეს და ზუსტად განსაზღვრეს იმ საკანონმდებლო აქტების საკმაოდ გრძელი ნუსხა, რომლის მიღებაც ივალდებულა პარლამენტის ორივე პალატამ. არანაკლები ვალდებულებანი იკისრა თავის მხრივ მთავრობამაც და ამასაც ჰქონდა თავისი პოზიტიური მნიშვნელობა იმის მიუხედავად, რომ დღეს უკვე ცხადია — ბევრი მათგანი ქაღალდზე დარჩება (ნუ დავივიწყებთ, რომ ესპანეთის მთავრობამაც ვერ შეასრულა „მონკლოას პაქტით" ნაკისრი რიგი ვალდებულებები).

თუმცა, პრინციპში გაუმართლებლად და დილეტანტიზმად მიმაჩნია უცხო ქვეყნების გამოცდილების ბრმად, „ერთი-ერთზე", გადმოღება, მაგრამ ფრთხილი მიდგომის პირობებით შესაძლებელია რიგ კანონზომიერებათა აბსოლუტიზება. თუ ამ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, იგივე „მონკლოას პაქტთან" მიმართებაში, პირველი, რაც თვალში გვეცემა, ეს არის იმდროინდელ კორტესში წარმოდგენილი ყველა პარტიისა და მთავრობის **თანხმობა** ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღებისა და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების დაჩქარების აუცილებლობის საკითხში (სწორედ ამ კარდინალური მნიშვნელობის საკითხზე მიღწეული თანხმობა დაედო საფუძვლად „მონკლოას ეკონომიკურ პაქტს"). ჩვენში კი არათუ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, თვით აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნითაც კი არ იგრძნობა რეფორმების კურსისადმი ერთგულება. ამას გარდა, ის ფაქტიც ძნელად გასამართლებელია, რომ ჩვენს მთავრობას პრაქტიკულად არავითარი მონაწილეობა არ მიუღია „ქართული ჩამოსხმის" „მონკლოას პაქტის" შედგენაში და აქედან გამომდინარე, მისი ვალდებულებებითაც დიდად არავინ დაინტერესებულა. დანარჩენზე რომ აღარაფერი ვთქვა, მარტო ამ ერთ „ნაღმს" შეეძლო პირწმინდად აეფეთქებინა ნებისმიერი „თანხმობა".

„მონკლოას პოლიტიკურ პაქტს", ეკონომიკურისაგან განსხვავებით, ესპანეთის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ არ დაუჭირა მხარი (პაქტს ხელი არ მოაწერეს ნეოფრანკისტული სახალხო ალიანსის წარმომადგენლებმა). პოლიტიკური პაქტით საგრძნობლად გაიზარდა ესპანეთის მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებები. პირველ რიგში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას შეეხო, თუმცა (და განსაკუთრებით საყურადღებო უნდა იყოს ჩვენთვის!) პარლამენტის მკაცრ კონტროლს დაუქვემდებარა მასობ ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებანი.

...ისიც საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ „მონკლოას ტების" მოქმედების ვადა საბჭოთა ოფიციოზის განუსაზღვრელი არ ყოფილა — ერთი წლით გაფორ ორივე პაქტი. წლის დამლევს გამოირკვა, რომ მთავ ბამ ვერ შეძლო ვალდებულებათა ფარგლებში შეე რებინა უმუშევრობა და გაეზარდა ეროვნული საბი მო პროდუქტი, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ესპანე საფუძველი ჩაეყარა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა ვილიზებულ ურთიერთობებს. ამ დროისათვის ერთ განიცადა რევანშის (1931-1939 წ. წ. არსებული რეჟიმ აღდგენის იდეამაც.

კიდევ დიდხანს შეიძლება „მონკლოას პაქტებზე" უბარი, მაგრამ ახლა ეს არ არის აუცილებელი. მხოლ ერთ მომენტზე შევჩერდები: ექვს თვეს მუშაობდნენ პ ტების ძირითად ფორმულირებებზე ცნობილი ესპანე იურისტები, ექსპერტები, სხვადასხვა პოლიტიკურ პ ტიათა წარმომადგენლები. ვინ არიან ქართული თანხმ ბის დეკლარაციის ავტორები? როგორ გახდა შესაძ ბელი ასე მოკლე დროში (ყველაზე ზესაიდუმლო ინფო მაციის „გასაიდუმლოებაც" კი ჩვენს სინამდვილეში სუ დიდი ერთი კვირით თუ შეიძლება) ასეთი დიდმნიშვ ლოვანი დოკუმენტის შედგენა და ყველა დაინტერე ბულ ძალებთან მისი შეთანხმება? დოკუმენტზე ხელმ წერის შემდეგ რატომ აღარავინ დაინტერესდა მი ბედით? „კვიმატი" კითხვებით არ გადავღლი მკით ველს და პირდაპირ ვიტყვი ჩემს აზრს — 197 წლის ესპანეთი სოციალურ-ეკონომიკური მდგომ რეობით, საერთო პოლიტიკური კულტურით, ერთობ და თანხმობის სიმბოლო ახალგაზრდა, მაგრამ დიდ პ ლიტიკაში უკვე გამობრძმედილი მეფის სახით, პრაქტ კულად მზად იყო თანხმობისათვის. 1994 წლის საქართვ ლო კი ამისათვის მზად არ აღმოჩნდა, ისევე როგორ რუსეთი. ეგებ ყველა „პოზიტიური სკეპტიკოსის" აზ გამოხატა გრ. იავლინსკიმ, რომლის ფრაქციამაც არ მო წერა ხელი 25 აპრილის დოკუმენტს? მას მიაჩნია, რომ ნებისმიერი თანხმობის ხელშეკრულება მხოლოდ მაშ შეიძლება იქცეს ცხოვრებისეულ რეალობად, როცა იგ საზოგადოებაში მომწიფებულ ტენდენციებს აფიქსირებ ისე კი, არაფრის მომცემია იმ ჭეშმარიტების მეორედ და მესამედ გამეორება, რომ საზოგადოება გადაიღალა კონ ფრონტაციისაგან — გადაღლა სულაც არ ნიშნავს თანხ მობას. „ეროვნული თანხმობა", „დიდი შერიგება" და სხვა ამგვარ ეპითეტებთან ფრთხილი ურთიერთობაა საჭ რო; მათი წამდაუწუმ ხმარებაც კი საშიშია, ვინაიდან თვით იდეას შეიძლება ფასი დაეკარგოს, მისი ინფლაცი მოხდეს. დღეს ბევრი, ალბათ, სევდიანი ირონიით თუ გაიხსენებს ჩვენს გაზეთში 26 მაისს გამოქვეყნებულ ერ წერილს სათაურით — „დღე, რომელიც სამუდამოდ დარჩება საქართველოს ისტორიაში". ავტორი მართლაც ისტორიულ თარიღს არ გულისხმობდა — ის უკვე დარჩა „სამუდამოდ საქართველოს ისტორიაში". აი, ეროვნული თანხმობის დღე კი, რომელსაც „სამუდამოდ" დაუმკვიდრა ქვეყნის ისტორიაში ადგილი სულსწრაფმა ჟურნალისტმა, ვშიშობ, რომ დღეს ცოტა ვინმეს თუღა ახსოვს.

ქართული პარლამენტარიზმის ქრონიკებში „შავ ხუთშაბათად" ჩაიწერა 16 ივნისი, როცა ვნებათა ღელვამ ყველა დასაშვებ თუ დაუშვებელ ზღვარს გადააჭარბა. მართალია „სხვა სხვის ომში ბრძენია", მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ნაწილობრივ მაინც შესაძლებელი გახდებოდა სამარცხვინო ექსცესების თავიდან აცილება ქმედითი საინფორმაციო პოლიტიკის სინამდვილეში. რა მაქვს მხედველობაში? პირველად ცნობა, რომ აფხაზეთში „სამშვიდობო მისიის განხორციელებისათვის გუდაუთის საპარაშუტო-სადესანტო პოლკი მზად არისო". „ოსტანკინომ" თბილისში გრაჩოვის ყოფნის დღეს გადასცა 18 საათზე და გაიმეორა 21 საათზე. 20 საათზე „მაცნემ" მორცხვად წაუყრუა ამ პოლიტიკურად უაღრესად ფეთქებად ცნობას; არავითარი კომენტარი, უარყოფა, განმარტება, დაზუსტება! ვითომც არაფერი მომხდარიყოს. არადა, 18-დან 20-საათამდე ჩვენი საინფორმაციო პოლიტიკის მესვეურებს საკმარისზე მეტი დრო ჰქონდათ, რათა კომპეტენტურად განემარტათ საზოგადოებისათვის ის, რაც იმ დროისათვის უკვე ცნობილი უნდა ყოფილიყო მათთვის (მით უარესი, თუ არ იცოდნენ!) და უცნობი იყო ხალხისათვის. საინფორმაციო სტრატეგიასა და ტაქტიკას თავისი დაწერილი და გაცილებით მეტი დაუწერელი კანონები აქვს. მათი უცოდინარობა ან უგულებელყოფა რუდიმენტად აქცევს მთელ საინფორმაციო სამსახურს. საკმარისი იყო მეტი ოპერატიულობით გადაცემულიყო ეთერში ბ-ნ ჯაბა იოსელიანის ინტერვიუ და ოპოზიციის საპროტესტო ტალღა ასეთი ძალით ვეღარ აზვირთდებოდა. დაგვიანებული ინტერვიუს გამეორებას აზრი აღარ ჰქონდა, მომენტი ხელიდან გავუშვით, ჩვენმა საინფორმაციო საშუალებებმა „ნება დართეს" „ოსტანკინოს" ცნობას თავისუფლად „ემუშავა" და შედეგმაც არ დააყოვნა.

გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში განსაკუთრებული ემოციები გამოიწვია გენერალ გრაჩოვის ვიზიტის თვითონ ფაქტმა, მაგრამ ის კი ნამდვილად გასაკვირია, რომ ხელისუფლების საინფორმაციო საშუალებებმა ასე არაპროფესიულად და „საოქმო გულგრილობით" გააშუქეს თბილისში რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოლაპარაკებათა შედეგები. მერამდენედ შეიძლება იმის გამეორება, რომ რუსეთისა თუ „სნგ"-ს ჩარევით აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა იდეალური ვარიანტი არ არის. დიპლომატიაც ხომ მხოლოდ „შესაძლებლის" ხელოვნებაა და არა „შეუძლებლის". ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დღეს სხვა გზით აბსოლუტურად გამორიცხულია ლტოლვილთა დაბრუნება. რასაკვირველია, 100-პროცენტიანი გარანტია არც დღეს არსებობს, მხოლოდ რეალური შანსი გაჩნდა და ბევრწილად ჩვენზეც იქნება დამოკიდებული მისი განხორციელება. ნუთუ დღეს ვინმეს გულწრფელად სჯერა, რომ 3-4 წლიანი „სტატუს კვოს" შემდეგ შესაძლებელი გახდება აფხაზეთში ქართველ ლტოლვილთა დაბრუნება? ძალზედ მაინტერესებს ასეთ ადამიანთან შეხვედრა და საუბარი. ნუთუ რეალურ პოლიტიკასთან გაჭიანურებული „გიმნაზისტური არშიყი" იმისთვის მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ უმარტივეს ჭეშმარიტებაში გავერკვეთ — **მას შემდეგ, რაც ბოლო შეთანხმებებს მხარს უჭერს გაერო, ევროთათბირი, რუსეთი, არძინბას ხელისუფლებაც, საქართველოს მხრიდან ყველას მიერ მოწონებული გეგმის უარყოფას დამღუპველი შედეგები მოჰყვება ჩვენთვის?** არასოდეს ვყოფილვარ „ნეტარი მორწმუნე" და კარგად მესმის, რომ არც ევროთათბირის დიპლომატებს, სხვაზე არაფერს ვიტყვი, ერთი

„ლოტკინზე" კვლავ ელიან აბიტურიენტებს

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები გრძელდება. ზოგან დამთავრდა კიდეც და უკვე შეიძლება პირველი შედეგების შეჯამება.

— კმაყოფილი ხართ ახალი ნაკადით? — ვკითხეთ თბილისის სახელმწიფო კომერციის ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ **გურამ თავართქილაძეს.**

— გაორებული გრძნობა მაქვს. კონკურსი დიდი არ იყო, მაგრამ ამის გამო გამოცდები არ „გაგვიიოლებია". წლითიწლობით უარესდება ახალგაზრდების მომზადების დონე: რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები მსახვრალ კვალს აჩნევს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა განათლების დონესა და ცხოვრებისეულ პოზიციას. შეიმჩნევა საოცარი პოლარიზმი — ყმაწვილები ან კარგად არიან მომზადებული (პირობითად „კარგად". მათ შორის მართლაც „კარგი" 20 პროცენტს არ აღემატება) ან ძალიან ცუდად (ამ „ცუდის" ნახევარი თითქმის უწიგნურია). ამის შედეგი იყო 40 პროცენტის ჩაჭრა. 66 ვაკანტური ადგილი დარჩა საერთო 200-დან. ამიტომ, მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით, ამ ადგილებზე დამატებით გამოცდებს მოვაწყობთ.

— მაინც, რა იყო თქვენს სახელმწიფო ინსტიტუტში ასეთი მცირე კონკურსის მიზეზი, ის ხომ არა, რომ ცენტრიდან დაშორებული ხართ და ამ უტრანსპორტობაში „ლოტკინზე" ამოსვლა ერთობ ჭირს?

— მთავარი მიზეზი ყოველ ნაბიჯზე გახსნილი კომერციული უმაღლესი სასწავლებლებია, რომლებიც ფაქტობრივად, უგამოცდოდ (გასაუბრების წესით!) მიღებას და თავისუფალ დასწრებიან სწავლებას აცხადებენ, თუმცა, განათლების სამინისტრო ამის უფლებას არ იძლევა. თავისუფალი დასწრების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ოთხიოდე წლის წინათ სახელმწიფო სასწავლებლებში მოეწყო თავისუფალი დასწრების ექსპერიმენტი, მაგრამ არ გაამართლა და სასწრაფოდ გააუქმეს. ვისაც „თავისუფალი დასწრება" სურს, [illegible] და დაუსწრებლად ისწავლოს. ჩვენს ინსტიტუტში ასეთი წესი გვაქვს: 42 არასაპატიო მიზეზით გაცდენაზე სტიპენდიის მოხსნა, 70 გაცდენაზე — გარიცხვა! ყველაფერს თავისი სახელი დავარქვით: „გასაუბრებით" მიღება და „თავისუფალი დასწრება", უბრალოდ, ფარატინა დიპლომის ყიდვის შენიღბული ხერხია.

გამოცდები

რაც შეეხება ტრანსპორტს, ამ მხრივ ჩვენ ყველაზე უზრუნველყოფილი ვართ. ინსტიტუტს 4 საკუთარი ავტობუსი ჰყავს, რომლებიც ყოველდღიურად 4-5 უფასო რეისს აწყობენ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის გლდანიდან და ვაგზლის გადასასვლელი ხიდიდან. ჩვენმა ტრანსპორტმა აქაურ მოსახლეობასაც მოათქმევინა სული.

ასე რომ, 17 აგვისტოს განმეორებითი გამოცდები გვაქვს. საბუთების მიღება უკვე დავიწყეთ. არის სიახლეც: წლეულს პირველად ვაცხადებთ მიღებას ფასიანი დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე. ასაკი და კონტინგენტის რაოდენობა ლიმიტირებული არ არის.

— მაგრამ გამოცდების პროცესის ასეთი გაჭიანურება ხელს ხომ არ შეგიშლით ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში? თვეღა დარჩა...

— სიამაყით შემიძლია ვთქვა: ჩვენი სასწავლო-მატერიალური ბაზა მშვენიერ მდგომარეობაშია. იგი კიდევ უფრო გამდიდრდა ახლახან გერმანელი მეგობრების მიერ ჰალეს უნივერსიტეტიდან საჩუქრად გამოგზავნილი კომპიუტერების კომპლექტითა და სახელმძღვანელოებით. პირველი სექტემბრისთვის დავამთავრებთ ორიდან ერთი სასპორტო დარბაზის 240-ადგილიან სააქტო დარბაზად გადაკეთებას. იგი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ერთგვარი ფილიალი იქნება და არა მარტო ინსტიტუტის, არამედ, მთელი ამ უბნის — „ლოტკინის" დასახლების კულტურის ცენტრად იქცევა.

ალექსანდრე ალექსიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალდაკვალ

ნატოს ეშხიც დაგვიფარავდა...“

საქართველოს?)

ამეც არ გაუთენებიათ საქართველოზე ფიქრით. არც არის ეს გასაკვირი; ჩვენი ტრაგედია მათთვის ერთ-ერთი რიგითი საფიქრალია მრავალთაგან, მასშტაბებით კი, არც თუ უმთავრესი. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს რეალობაა. ბოლომდე გავუსწოროთ თვალი ამ ჩვენთვის არც სასიამოვნო რეალობას და ისიც ვაღიაროთ, რომ ბუტროს გალიმ მშვენივრად იცოდა თუ ვის გადაეცემა სამშვიდობო მისია აფხაზეთში, როცა უშიშროების საბჭოს თავისი ცნობილი დასკვნა წარუდგინა. არც ეს არის გასაკვირი — გაეროს კატასტროფიულად არ ჰყოფნის სახსრები სამშვიდობო ოპერაციებისათვის და არა თუ რუსეთისა და „სნგ“-ს, ვგონებ უცხო პლანეტების დახმარებაზეც არ იტყვის უარს. რომელი ჯარის იმედი უნდა გვქონოდა, როცა 60-მდეც კი ვერ გავა[illegible] სამხედრო მეთვალყურეთა რიცხვი? (ჩვენ [illegible] 80-100 სამხედრო მეთვალყურეს ვითხოვდით).

უმადური საქმეა პროგნოზირება პოლიტიკაში; თუ გამართლდა, — არავის გაახსენდება, თუ გიმტყუნა — არავის დაავიწყდება. ამის მიუხედავად, გაუთვლელად არ შეიძლება რაიმე სერიოზული აქციის წამოწყება. ზემოთ აღვნიშნე, რომ პოლიტიკაში 100-პროცენტიანი გარანტია არ არსებობს; ასეთ გარანტიებს შვეიცარიელი ბანკირები იძლევიან და არა დიპლომატები და გენერლები. უნდა ველოდეთ, რომ ძნელი იქნება ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი; არძინბას ხელისუფლების ყოველი ღია თუ ფარული საბოტაჟი პირველ რიგში იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ, ეს უადგილო და უდროოა წუწუნი მოსალოდნელ სიძნელეებზე. სიძნელეებსა და მსხვერპლზე ადრე უნდა გვეფიქრა და იმედს არ ვკარგავ, რომ ამ დიდი ქართული ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებს მაინც არ დავუტოვებთ ისტორიას განსასჯელად. ამჟამად უკომპრომისო ალტერნატივის წინაშე აღმოვჩნდით — ან რეალობად ვაქცევთ [illegible], ან მომავალ თაობებს გადავულოცავთ პრობლემას, რომლის გადასაჭრელად არც მხედრული ნიჭი და ძალა გვეყო, არც პოლიტიკური ალღო და სიმტკიცე.

დღეს, ხვალ „რუსეთის ფაქტორი“ გვაკერია პირზე, თუმცა არავინ ავლენს სურვილს (უფრო კი უნარს) ახსნას თუ რას წარმოადგენს ეს ფანტომასივით მოუხელთებელი და ყველგანმყოფი „ფაქტორი“. რამდენი ხანია რაც „მამაო ჩვენოსავით“ ვიმეორებ — **სანამ მეცნიერული კვლევის საგნად არ ვაქცევთ რუსეთში მიმდინარე პროცესებს, რუსეთის მდგრად ეროვნულ ინტერესებს, განვითარების ტენდენციებსა და პერსპექტივებს,** მუდამ „ვუყვარვარ— არ ვუყვარვარ“ — სტილში მკითხაობის დონეზე დარჩება ნებისმიერი კამათი.

სპეციალური განათლება ან საკითხის ღრმა ცოდნა არ არის საჭირო, რათა ოპონენტს მომგებიანი და ლოგიკური კითხვა დაუსვა — იგივე აფხაზეთთან კონტექსტში რუსეთმა ოთხჯერ მოგვატყუა და ვითომ მეხუთედ არ მოგვატყუებს? რატომ უნდა ვენდოთ? ჩვენს სინამდვილეში ეს კითხვა სავსებით ბუნებრივია, იმ „პატარა“ დეტალის გათვალისწინებით, რომ პროფესიონალი არ დაუსვამს პროფესიონალს ასეთ კითხვას, თუნდაც იმიტომ, რომ ნამდვილ პოლიტიკაში „ნდობა-მოტყუების“ ფაქტორი არ არსებობს, აქ არის **ინტერესთა დამთხვევა ან წინააღმდეგობა**. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბრმად შეყვარებულებიც აღარ ენდობიან ერთმანეთს (და სწორედაც იქცევიან!), არა თუ სახელმწიფოები, პირველივე „მოტყუების“, შემდეგ (ეს აფხაზეთის მოვლენებამდე მოხდა) ჩვენში რომ ვისმეს პროფესიულ დონეზე გაეანალიზებინა „მოტყუების“, სინამდვილეში კი ინტერესთა დაპირისპირების მიზეზები, ხოლო ხელისუფლებას ანალიზის შედეგები გაეთვალისწინებინა, ამდენჯერ „მოტყუებული“ არ დავრჩებოდით. კიდევ ერთი დეტალი; ჩვეულებრივ ურთიერთობებში, მოტყუებული რომ არ დარჩე ამის ყველაზე ნაღდი გარანტიაა არავის ენდო. უმრავლესობა დღეს ასეც იქცევა. პოლიტიკაში სულ იოლად შეიძლება მაშინაც კი აღმოჩნდე საშინლად მოტყუებული, როცა არავის ენდობი. ეს მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობას არ ეხება. ისე კი, მართლაც რა გარანტია გვაქვს, რომ ამჯერადაც არ მოგვატყუებენ? ამ საკრამენტულ კითხვაზე პასუხს საქართველო-რუსეთის ინტერესთა ზუსტი გააზრება სჭირდება. გასაგებია, რომ როდესაც გრაჩოვი კონფლიქტის ზონაში თავისი დივიზიების განლაგებას გვთავაზობდა, ის პირველ რიგში რუსეთის ინტერესებით ხელმძღვანელობდა, ჩვენ ეს წინადადება უარვყავით, თანაც ისე, რომ მთელი მსოფლიოს თვალწინ რუსეთი საქართველოს ხელახალი ოკუპაციის სურვილში „ვამხილეთ“ და ამით რუსეთის ინტერესებს დავუპირისპირდით. შედეგების გათვალისწინებით კი გვიჯობდა დავთანხმებულიყავით, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ვერ გავითვალისწინეთ ძალთა თანაფარდობა იმდროინდელ რუსეთში, ვერც რეალური საფრთხე. ამის შემდეგ საკითხავია — რუსეთმა მოგვატყუა თუ ჩვენ თვითონ მოვატყუეთ საკუთარი თავი? იმითაც ჯობია ჩათრევას ჩაყოლა, რომ „ჩაყოლილი“ მანევრირების რაღაც საშუალებას კიდევ იტოვებს, ის ბოლომდე არ რჩება სხვის „კეთილ ნებაზე“ დამოკიდებული, „ჩათრეული“ კი მუდამ უიმედოდ არის განწირული, მას ისე „ატყუებენ“, რომ არც კი ცდილობენ ტყუილი სიმართლეს მიამსგავსონ მაინც. ერთის სიტყვით, ჩვენ მაშინ „ჩაყოლა“ ვიუკადრისეთ და რხევის განსხვავებული ამპლიტუდით ყურებამდე „ჩათრეულები“ აღმოვჩნდით. ასეთი საფრთხე დღესაც გვემუქრება.

პირადად ჩემთვის საყურადღებო იყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის 17 ივნისის განცხადება: — თუ ჩვენ არ შევალთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, იქ სხვა შევა და ეს რუსეთის ინტერესებს არ შეესაბამება. რასაკვირველია, იცის კოზირევმა, რომ „სხვა“ არ შევა აფხაზეთში, მაგრამ თავის პოლიტიკურ ოპონენტებთან მოსალოდნელ დისკუსიაში ისეთ უტყუარ არგუმენტს მიმართავს, როგორიც სახელმწიფო ინტერესებია. ჩვენც სწორედ ეს უკანასკნელი — სახელმწიფო ინტერესები —უნდა ვაქციოთ ჩვენთვის მისაღებ არგუმენტად და გარანტიად. ცხადია, აზრადაც არ მომსვლია იმის მტკიცება, რომ საქართველოს შეუძლია რუსეთის (ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს) ინტერესების კორექტირება, ეს ჩვენგან დამოუკიდებლად ყალიბდება მრავალ ფაქტორთა ზეგავლენით, მაგრამ მოვალენი ვართ ისე დავიცვათ საკუთარი სასიცოცხლო ინტერესები, რომ არავის (პირველ რიგში რუსეთს) არ დავუპირისპირდეთ. ეს შეუძლებელია უკომპრომისებოდ, ჩვენზე დიდი და ჩვენზე პატარა სახელმწიფოებიც მიდიან ისეთ კომპრომისებზე, რომელსაც ჩვენს პარლამენტში ავტომატურად „ერის ღალატად“ და „სამშობლოს გაყიდვად“ მონათლავდნენ. რას იზამ, ბევრმა ჯერ არ იცის, ბევრი კი შეგნებულად ხუჭავს თვალს იმ ფაქტზე, რომ სწორედ გაუთავებელი კომპრომისები წარმოადგენს პრაქტიკული პოლიტიკის არსს. ამიტომაც არის მუდამ მომგებიან პოზიციაში ოპოზიციონერი და ამიტომაც იცვლება ელვის სისწრაფით როლები, როგორც კი ხელისუფლება გადადის ოპოზიციაში. და მაინც, რა გადაარჩენს საქართველოს? მეტ-ნაკლები სიზუსტით რომ დავადგინოთ, თუ რა გადაარჩენს, აბსოლუტური სიზუსტით უნდა ვიცოდეთ, თუ საიდან ემუქრება მას მთავარი საფრთხე. ჩემი აზრით, საკუთარ შვილთა უგუნურებიდან, უმრავლესობის — რუსეთიდან. კეთილი, დავუშვათ ამჯერადაც მე ვცდები, მაშინ იარლიყებისა და სამიტინგო ლოზუნგების გარეშე შევუდგეთ პრობლემების შესწავლას, მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობით — დასკვნების გამოტანისას ნაკლები ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ რას ეუბნებიან რუსი პოლიტიკოსები „კონტაქტების დასამყარებლად“ მოსკოვში ჩვენს პარლამენტარებსა და „საგანგებო მისიებით“ ჩასულ სხვა კეთილი განზრახვებით აღსავსე არაპროფესიონალებს პირად საუბრებში და აქცენტი მხოლოდ რეალურ ფაქტებსა და ოფიციალურ დოკუმენტებზე გადავიტანოთ.

ამ ბოლო ხანებში ერთმა მცდარმა (უფრო სწორედ კი მავნე) ტენდენციამ იჩინა თავი ჩვენს პოლიტიკურ აზროვნებაში; კერძოდ, „რუსეთის ფაქტორთან“ კონტექსტში; ფაქტია, რომ დასავლეთი ენთუზიაზმით არ შეხვდა მოსკოვის სამხედრო-პოლიტიკურ გააქტიურებას ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე და პირველ რიგში — ამიერკავკასიაში. ასეც იყო მოსალოდნელი და ამში სენსაციური არაფერია. გასაკვირი მხოლოდ ის არის, რომ ეს ტრივიალური მოვლენა, რაღაც, საქართველოსთვის დიდმნიშვნელოვან სიახლედ აღიქვეს არა მხოლოდ დამწყებმა ჟურნალისტებმა, არამედ ზოგიერთმა ოპოზიციონერმა პარლამენტარებმა და მომეცნიერო-მოპოლიტოლოგო პიროვნებებმა. საყოველთაოდ არის ცნობილი თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია უსაფუძვლო პოლიტიკურ ილუზიებს, და თითიდან გამოწოვილ „სასიკეთო პერსპექტივებს“. ერთი წუთით დავუშვათ, რომ იგივე ჩრდილოეთ ატლანტიკის ალიანსს მართლაც აქვს მტკიცე სურვილი და რეალური შესაძლებლობა რუსეთის ნეოიმპერიული აგრესიისაგან დაიცვას საქართველო და სხვა ყოფილი „მოძმე რესპუბლიკები“, მაგრამ სურვილი ხომ მუდამ კოსმოსური მანძილით უსწრებს რეალობას. კუდმოკვეცილ „მშვიდობისათვის პარტნიორობას“ და ნატოს სრულუფლებიან წევრობას შორის რამხელა დისტანციაა, თითქოს ყველამ იცის, მაგრამ ბევრი მაინც ჯიუტად ებღაუჭება ამ ლამაზ ილუზიას. არ ვიცი, რომელი მონაცემების ანალიზის საფუძველზე იჩეკება ვთქვათ ისეთი კატეგორიული დასკვნა, რომ ნატოს ტრიუმფალური „სვლა აღმოსავლეთისაკენ“ უკვე გარდუვალია. დავუშვათ, მართლაც მოხდა საოცრება და **ევერში** (ნატოს შტაბბინაში) მიიღეს გადაწყვეტილება ნატოს წევრთა ზრდის თაობაზე, პირველი კანდიდატები ხომ „ვიშეგრადის ჯგუფის“ წევრები იქნებიან, შემდეგ ბალტიის ქვეყნები და ღმერთმა იცის, როდის მოვა ჩვენი რიგი, ერთი სიტყვით, ერთ-ორ წელიწადში ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, ჩვენ კი დიდი ლოდინის საშუალება არა გვაქვს; თუ ნახევარი საქართველო შიმშილით გაწყდა, მეორე ნახევარი კი აიყარა და მსოფლიოს მოედო ლუკმა-პურის ძებნაში, მერე უკვე სულ ერთი იქნება ნატოს კარს გაუღებენ საქართველოს თუ ლონდონის იახტ-კლუბისას.

ზემოთ უკვე მოვუწოდე ყველას — პოლიტიკურ რიტორიკას ნაკლები ყურადღება მივაქციოთ და ანალიზისათვის რეალიებს მივმართოთ-მეთქი. ფაქტია, რომ დღევანდელ რუსეთში ბევრში იწვევს ნოსტალგიას როგორც „ერთიანი და განუყოფელი“ იმპერია, ასევე „ძმურ ოჯახად შეკრული“ საბჭოთა კავშირი, მაგრამ შესწევთ, მათ ძალა „ჭადილისა“? შეუძლია კი დღევანდელ რუსეთს, ვთქვათ, იმპერიული ნეოკოლონიური პოლიტიკის განხორციელება? საქმეც ის გახლავთ, რომ როგორც ნეოკოლონიური, ასევე კლასიკური კოლონიური აგრესიის ობიექტ ქვეყნებს „ათვისება“ სჭირდება, რუსეთს კი ამის თავი აღარა აქვს. რატომ მოხდა, რომ კოლონიების განთავისუფლება პირველ რიგში ეკონომიკურად მძლავრმა მეტროპოლიებმა — ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ბელგიამ დაიწყეს, ხოლო ეკონომიკურად ჩამორჩენილი პორტუგალია კი ათეული წლების მანძილზე იარაღით ცდილობდა გაეხანგრძლივებინა თავისი ყოფნა აფრიკაში? უბრალოდ, ნეოკოლონიური კურსი იმ დონის ეკონომიკურ პოტენციალს თხოულობს, რომელიც პორტუგალიას არ გააჩნდა. დაახლოებით ამ დღეშია რუსეთიც. არც ის შეუძლია რუსეთს იმპერიული პოლიტიკის სამსახურში ჩააყენოს საკუთარი ეკონომიკის ინტერესები. მართალია, ამის რეციდივებს (პოლიტიკის პრივალირება) დღესაც ვხვდებით, ამას თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ახლო წარსულში რუსეთმა, როგორც „არასაიმედო ეკონომიკურ პარტნიორს“, ენერგორესურსების მიწოდება შეუწყვიტა უკრაინას, ხოლო იმავე დროს გადაწყვეტილება მიიღო, გაზი მიეწოდებინა პირწმინდად გაკოტრებული სერბიისათვის. ჩვენი აზრით, უკრაინა-სერბიის მაგალითი მაინც გამონაკლისია, ისევე როგორც ბელარუსის, ტიპიური და სიმპტომურია უარი ფოთის ნავსადგურის აქციონირებაში მონაწილეობასა და გაზითა და ნავთობით დახმარებაზე. ყველაფერი იმას მეტყველებს, რომ საბაზრო ეკონომიკის კანონები პრაქტიკულად ვერ ეგუება იმპერიულ, კოლონიურ თუ ნეოკოლონიურ პოლიტიკურ ურთიერთობათა პრაქტიკას. სად ყოფილა, რომ მეტროპოლია სურსათითა და იაფი ნედლეულით (მათ შორის სტრატეგიულითაც) ამარაგებდეს კოლონიებს? ამიტომაც არის, რომ რუსეთში ზიუგანოვი იქნება თუ ჟირინოვსკი, ზუსტად ვერავინ გეტყვით როგორი „ერთიანი“ „დერჟავის“ აღდგენა სურს: მოდერნიზებული საბჭოთა კავშირისა და „ადამიანის სახიანი“ სოციალისტური იმპერიის? უკანასკნელმა იდეამ უკვე გადაიყოლა გორბაჩოვი და მისი ბედის გაზიარების პერსპექტივა არავის აღარ იზიდავს. ისევე როგორც არ შეიძლება „ადამიანის სახიანი“ ფაშიზმის არსებობა, ასევე შეუძლებელია სტალინ-ბრეჟნევის მოდელისაგან განსხვავებული საბჭოთა კავშირის აღდგენა. ვაიმეორებ — ბევრს, ძალიან ბევრს სურს დღეს რუსეთში (და არა მარტო იქ) საბჭოთა კავშირის, იმპერიის, „განათლებული მონარქიის“ აღდგენა, კონფედერაციის იდეამაც იჩინა თავი, ბოლო ხანებში სულ უფრო მეტს ლაპარაკობენ და წერენ ნაზარბაევის მიერ შემოთავაზებულ ახალ გეოსტრატეგიულ იმპერატივზე —ერთიანი ევრაზიის ეკონომიკურ სივრცეზე. 8 ივლისს ალმა-ატაში პირველ დოკუმენტსაც კი მოაწერეს ხელი ყაზახეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის ლიდერებმა, ადვილი შესაძლებელია ისტორიულადაც იქცეს ეს თარიღი, თუმცა იმ დღეს „მაცნემ“ აღნიშვნის ღირსადაც არ ჩათვალა(!) (ისევე როგორც იმავე დღის ბევრი სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა); თუმცა უკანასკნელზე სხვა დროს. ამდენ პროექტთა შორის მხოლოდ ის შეიძლება იქცეს რეალობად, რომელიც რუსეთის ფაქტობრივ შესაძლებლობებსა და ეკონომიკურ ინტერესებს შეესაბამება.

რასაკვირველია, ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია ჩვენს წინაშე მდგომი ყველა პრობლემის ღრმა ანალიზი. ამისათვის სხვა პირობებია საჭირო და სწორედ ეს პირობები არ არსებობს დღეს. ნურავინ იფიქრებს, რომ კიდევ ერთი „მეცნიერულ-კვლევითი“ რუდიმენტის — ცენტრის, ახალი კათედრის, ინსტიტუტის, ან სხვა უფრო „თანამედროვე“ და მოდური სახელწოდების უწყების დაარსებას მოვითხოვდე. ღმერთმა დამიფაროს. ჩემი სურვილი მხოლოდ ის იქნებოდა, რომ უკვე არსებულ ცენტრებს, კათედრებსა და ინსტიტუტებს მეტი ყურადღება დაეთმოთ ზემოხსენებულ პრობლემების მეცნიერული კვლევისათვის. მეორე (და ჩემი აზრით მთავარი!) საკითხია, თუ რატომ არავინ მოითხოვს მათგან ასეთ სამუშაოს? „მოთხოვნილება განაპირობებს მიწოდებას“ და უბედურებაც ის გახლავთ, რომ ასეთ სამუშაოზე, უფრო სწორად პროდუქციაზე, მოთხოვნილება არ არის, ხოლო იქ კი, სადაც პროფესიული შრომა არავის სჭირდება, არასოდეს არ შეიქმნება მაღალპროფესიული პროდუქცია, იქ მუდამ დილეტანტების დოღი იქნება, იქ მუდამ მეწაღის გამომცხვარ პურს ვჭამთ და ხაბაზის შეკერილი წაღებით ვივლით. არც ეს არის ჩემი აღმოჩენა, ესეც ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა იცოდნენ, ჩვენში კი 21-ე საუკუნის ზღურბლზეც არ სურთ ისწავლონ. ერთი სიტყვით, დილეტანტი ქვეყანას კი არა, საკუთარ თავსაც ვერ უშველის. ისე კი, ცოდო გამხელილი ჯობსო, ისიც კი მიფიქრია, ეგებ არასპეციალისტები იმიტომაც ეჭიდებიან ასეთი ენთუზიაზმითა და ხალისით მათთვის უცნობ სფეროებს, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ტვირთის სიმძიმეზე. საკითხავია, ასე იოლად დათანხმდებოდა ბავშვთა სათამაშოების ფაბრიკის ნადირექტორალი პარლამენტის ერთ-ერთი ურთულესი კომისიის თავმჯდომარეობაზე, კარგად რომ სცოდნოდა, თუ რა სიძნელეებს განიცდის მის მეთვალყურეობაში აღმოჩენილი დარგი? რამდენი ასეთი კურიოზი შეიძლება ჩამოითვალოს ბოლო პერიოდის ჩვენს საკადრო პოლიტიკაში?

...დასასრულ, კიდევ ერთი აუცილებელი პირობა, ურომლისოდაც ერთად აღებულმა მთელმა მსოფლიომაც, რომ გადაწყვიტოს ჩვენი შველა, მაინც ვერ გადავრჩებით. ეს უკვე ზნეობის სფეროა. ჩვენს ისტორიაში არა ერთი პერიოდი ყოფილა, როცა კრიტიკულ ზღვრამდე დაცემულა საზოგადოების ზნეობა. თუ კაცობრიობის ისტორიაში ამაზრზენ მოვლენად დარჩა მონათვაჭრობა, იმაზე რაღა ითქმის, რომ ქართველი ქართველით ვაჭრობდა? თანაც „საქონელზე“ შორს წასვლა რომ არ დასჭირებოდა, იქვე, მეზობელს იპარავდა? და მაშინაც, კი, საქართველოში იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ახლოსაც არ გაჰკარებია გარყვნილობისა და ზნედაცემულობის ყოვლისწამლეკი მყრალი ქაფი. ალექსანდრიის შუქურასავით არღვევდნენ ისინი ბნელეთს და ხსნის ერთადერთ სწორ გზას უკვალავდნენ ერს. სწორედ ასეთმა ადამიანებმა იხსნეს მრავალჯერ საქართველო, სხვა უბედურებასთან ერთად სულიერი კრიზისის პირზე მდგომ ხალხს ჰაერივით სჭირდება ადამიანები, მუდამ ყოველგვარ ეჭვზე რომ არიან ამაღლებულნი კეისრის მეუღლესავით. ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი წესიერი მოქალაქის მხოლოდ გულწრფელი გულისტკივილი შეიძლება გამოიწვიოს ბატონ ნოდარ ნათაძეზე გამოქვეყნებულმა წერილებმა. ბევრი შვებით ამოისუნთქავს დღეს საქართველოში (მათ შორის, მჯერა, ბატონი თამაზ წივწივაძეც) თუ გაირკვევა, რომ გამოქვეყნებული სენსაციური დოკუმენტები ფალსიფიკაციაა, ხელმოწერები ბატონ ნოდარს არ ეკუთვნის, ის ვიღაც გამბაროვი და მისი გზის გამკვალავი „ყოფილი დირექტორი“, მითიური პერსონაჟებია და საერთოდ „იყო კი ბიჭი?“ ჩვენი დღევანდელობის გათვალისწინებით სასწორზე გაცილებით მეტი დევს, ვიდრე ერთი კონკრეტული პიროვნების რეპუტაცია. პირადად ჩემთვის, და, ალბათ, ბევრი ჩემნაირისათვის, მთავარი ის როდია, რომ ნორმალურ ქვეყანაში ასეთ ბრალდებას საპარლამენტო კრიზისი მოჰყვებოდა, ჩვენი კანონმდებლები კი მორიგი კომისიის შექმნით შემოიფარგლნენ (ნიძლავს ვდებ, ყოველი 3 პარლამენტარიდან 2 ვერ გეტყვით, უკვე რამდენი ასეთი მკვდრადდაბადებული კომისიის შექმნას მისცა ხმა). თუ დროულად არ გაირკვა სიმართლე და ამჯერადაც ორივე მხარე ბილიარდში თამაშის დროს რომ იტყვიან, **„პრი სვოიხ“** დარჩა, ვინ იცის, კიდევ რამდენი ათასი ადამიანი შეემატება ადრე გულგატეხილთა და ყველაფერზე ხელჩაქნეულთა არმიას. ამიტომ ბატონმა ნოდარმა, რაც უნდა მძიმე იყოს ეს მისთვის, საკუთარი რეპუტაციის შენარჩუნებაზე უფრო მეტისათვის უნდა იბრძოლოს; ერთი მხრივ, იოლი გასაგებია, რომ ისეთი ადამიანისათვის, როგორიც ბატონი ნოდარია, მიუღებელი და შეურაცხმყოფელია თავის მართლების პროცესი, მეორე მხრივ, ამჯერად საქმე გვაქვს ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწესთან, რომელიც ათეული წლების მანძილზე ბევრი ქართველისთვის პრინციპულობისა და პატიოსნების სიმბოლოდ იქცა. მას უფლება არა აქვს ამაყი შეუვალობით არ „დადაბლდეს“ დამამცირებელ თავის მართლებამდე და არც იმას განიცდიდეს, თუ რას ფიქრობენ მასზე უცნობი ადამიანები. პოლიტიკური მოღვაწე ვალდებულია, რაც უნდა დამამცირებელი იყოს მისთვის, ნებისმიერ სიტუაციაში მზად იყოს ნებისმიერ (გინდ მისი რწმენით აბსურდულ) ბრალდებას ათჯერ, ასჯერ და ათასჯერ გასცეს პასუხი. რა, ძან მოსწონთ ცოლ-ქმარ კლინტონებს, საათში 450 დოლარი უხადონ ადვოკატებს, რათა რეპუტაცია შეინარჩუნონ? არც გუშინდელ გენერალურ მდივანსა და მსოფლიოს ზესახელმწიფოს პრეზიდენტს, გორბაჩოვს უნდა მოსწონდეს მოწმის მაგიდასთან თვინიერად დგომა და მისთვის შეურაცხმყოფელ ათასგვარ კითხვაზე დაწვრილებითი პასუხის გაცემა „გკჩპ“ — პროცესზე, მაგრამ, რას იზამს, მალე ახალი პრეზიდენტი უნდა აირჩიოს რუსეთმა და მას სულაც არ სურს ორაზროვანი რეპუტაციით წარსდგეს ელექტორატის წინაშე, არც ჩვენშია დიდი დრო დარჩენილი არჩევნებამდე. მოდი და არწმუნე ასობით ათასი ხმის უფლების მქონე „ურწმუნო თომა“, რომ ის ავადსახსენებელი ათობით მილიარდი კუპონი (შემდეგ დოლარად ქცეული!) პირწმინდად „დანიშნულებისამებრ დაიხარჯა“, რომ ამ მრავალსვლიან ოპერაციაში „ყოფილი დირექტორი“ იქნება თუ გამბაროვი, ყველა ერთნაირად ქართული საქმის ერთგული და პატიოსანი იყო, რომ არავის არაფერი არ „მიეწება“ ხელზე. ამაში დღეს მეხუთე კლასელზე უფროსს ველარავის დააჯერებ. სხვაზე უკეთ ვიცი, თუ რას ნიშნავს მეომარი ქვეყნისათვის სახელმწიფო საიდუმლოება (თუმცა აღარ ვიცი, თუ ჩვენში კიდევ არსებობს რაიმე საიდუმლოება), ქვეყნის ინტერესებისათვის შეიძლება საკუთარ მრწამსსა და პრინციპებთანაც წახვიდე კომპრომისზე, მაგრამ იმ მკაცრი წინაპირობით, რომ მხოლოდ გამარჯვებულებს არ უყენებენ ანგარიშს. ჩვენ კი ყველანი (რასაკვირველია ბ-ნი ნოდარიც) ომში დამარცხებულები ვართ. მინდა მჯეროდეს, მწამდეს, რომ ბ-ნი ნოდარი, მისთვის ჩვეული უკომპრომისო პრინციპულობით, ბოლომდე გაარკვევს ჩვენს შეცბუნებულ საზოგადოებას „ყოფილ დირექტორ“ — გამბაროვის ლაბირინთში, თუნდაც იმიტომ, რომ ხვალ და ზეგ აღარ გაჩნდეს ასეთი შიგნიდან მღრღნელი ეჭვი. თუ მართლაც ასეთ ადამიანებს ვენდობოდით ომის ბედს, კიდევ დიდხანს გაგვიძლია მტრისათვის.

ამ ისტორიამდე გაცილებით ადრე მივეჩვიეთ იმას, რომ ჩვენი პოლიტიკოსების ერთი ნაწილი ჯერ საჯაროდ ათასგვარ საზარელ შეურაცხყოფას აყენებს ერთმანეთს, მერე ასევე საჯაროდ სასამართლოთი ემუქრებიან ერთმანეთს და ბოლოს ასევე საჯაროდ, მთელი ქვეყნის თვალწინ „ავიწყდებათ“ თავიანთი საჯარო მუქარაცა და საჯაროდ მიყენებული შეურაცხყოფაც. ხომ არ შეიძლება ჩვენი პრესა სისტემატურად ხან აპარატის მაღალი რანგის მოხელეს ტრივიალურ მექრთამეობაში სდებდეს ბრალს, ხან პირადი პატიოსნებით ცნობილ პარლამენტარს (თანაც რომელი კომისიის თავმჯდომარეს!) უკეთეს შემთხვევაში თანამდებობისათვის შეუფერებელ გულუბრყვილობაში ამხელდეს და ხიდან ფოთოლიც კი არ ვარდებოდეს? ან იქნებ ჩვენი საზოგადოება ისე მიეჩვია ამგვარ ბრალდებებს, რომ აზრი აღარა აქვს ჭეშმარიტების დადგენისათვის ბრძოლას? იქნებ ამიტომაც იყო, რომ ასეთი ინდეფერენტიზმი გამოიწვია საზოგადოებაში სხვა ვითარებაში ფეთქებადმა ინიციატივამ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში კორუფციასთან ბრძოლის კომისის შექმნის თაობაზე? იქნებ უკვე ჩვენშიც დამკვიდრდა პრინციპი: თუ გამართლდი — არაფერი მოგემატება, თუ ვერა — არაფერი დაგაკლდება? ღმერთმა ნუ ქნას! მაშინ კი ნამდვილად ველარაფერი გადაგვარჩენს!

გვეხმაურებიან

„გიგას მოწმე“ საზოგადოება და თაიგულიანი ტერორიზმი

„საქართველოს რესპუბლიკა“
№ 181

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 26 ივლისის ნომერში რუბრიკით „მართლმსაჯულება“ დასტამბულია საბა სულხანიშვილის წერილი — **„გიგას მოწმე“ საზოგადოება და თაიგულიანი ტერორიზმი“**, რომელშიც ერთგვარად ბუნდოვან კონტექსტში მოხსენებულია საქართველოს რესპუბლიკის „ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტი“. ციტატა წერილიდან: „...მაგრამ უფრო საინტერესო კულისებს მიღმა ხდება: აღმოჩნდა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის თანამშრომლები დაინტერესდნენ პატიმართა მდგომარეობით, მოინახულეს ისინი საგამოძიებო იზოლატორში, შემდეგ იშუამდგომლეს კიდეც განსასჯელთა პროცესზე დასაბრუნებლად. ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როცა თვით სხდომაზე, დარბაზში იშვიათად ნახავთ ამ კომიტეტის თანამშრომელს, მაგრამ შეიძლება ვერც კი ნახოთ სხვა უწყების ფუნქციონერი, სხვადასხვა დონის ღონისძიებებზე ქედმაღლურად რომ დაინტერესდება პროცესის მსვლელობით“.

კომიტეტის დაინტერესება პატიმართა მდგომარეობით სრულიად ბუნებრივია, შუამდგომლობა განსასჯელთა პროცესზე დასაბრუნებლად არ სცილდება კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებს და არ შეიძლება ჩაითვალოს მართლწესრიგის ან ზნეობრივი ნორმების დარღვევად, მით უმეტეს ქმედებად „კულისებს მიღმა“, ხოლო რაც შეეხება კომიტეტის თანამშრომლის სასამართლო დარბაზში ყოფნას, დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება დაადგინონ ჭეშმარიტება: ჩვენი წარმომადგენელი მუდმივად ესწრებოდა და კვლავაც დაესწრება სხდომებს.

ციტატის ბოლოთქმა ბუნდოვანია, მხოლოდ ავტორის დახმარებით თუ ჩავწვდებით მის ჩანაფიქრს, რა კავშირი აქვს ჩვენს კომიტეტთან „ფუნქციონერს, სხვადასხვა დონის“ და ა. შ. ავტორს მოვახსენებთ, რომ ასეთ „ფუნქციონერს“ ჩვენთან სანთლითაც რომ ეძებოთ, ვერ იპოვით. კარისკაცი იქნება თუ კომიტეტის თავმჯდომარე, ყველა, ფუტკარივით დილიდან გვიან ღამემდე, უანგაროდ, მთელი სიწრფელითა და საოცარი მონდომებით იცავს უპოვართა და მდიდართა, გლახაკთა, ბრძენთა და რეგვენთა, ჯანმრთელთა და სნეულთა, თავისუფალთა და პატიმართა ადამიანურ უფლებებს. თუ წერილის ავტორი მიიჩნევს, რომ ჩვენმა საქმიანობამ, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვაში გამოიხატება, შეიძლება „დაასახიჩროს ეროვნული სული, ბლაგვი ნაჯახით აკუწოს ერის ძარღვი“, გვირჩიოს როგორ მოვიქცეთ.

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის პრესცენტრი.

მცირე ბიზნესის დიდი მომავალი

ბორში მუშაობა დაამთავრა ამიერკავკასიაში ბიზნესის განვითარების ცენტრის ხელშეწყობით გამართულმა სემინარმა, რომელიც მცირე ბიზნესის საკითხებს მიეძღვნა.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების ეკონომისტები, ბანკირები, ფინანსისტები, ბიზნესით დაინტერესებული პირები, გამგეობის ხელმძღვანელები.

სემინარზე მოხსენებები წაიკითხეს ბიზნესის განვითარების ცენტრის მოწვეულმა ამერიკელმა ეკონომისტმა ლექტორ-კონსულტანტებმა: მ. მილერმა, რ. შელიმ, ლ. ტაურენდიმ და ფ. მაკენიმ.

გურამ ვაშაკიძე.

თბილისის სამრეწველო-ეკონომიკური
პროფესიული უმაღლესი სასწავლებელი
აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:
საბანკო და კომერციული საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხვა;
კვების პროდუქტების ტექნოლოგია
(პურისა და მაკარონის წარმოება);
ავტოტექმომსახურეობის მექანიკოსი (მართვის უფლებით).
სწავლა უფასოა, სტუდენტს მიეცემა სტიპენდია, ჩარიცხვა გასაუბრებით, მიიღებიან როგორც საშუალო, ასევე 9 კლას დამთავრებულნი; სწავლა 2-დან 4 წლამდე სპეციალობის მიხედვით.
მისამართი: ჯიქიას ქ. № 3 (ქავთარაძის ქუჩის ბოლოს).
ტელ: 31-21-76.
ტრანსპორტი მეტრო „დელისიდან“.

თბილისის უნივერსიტეტი „გეორგია“

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:
1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. დაწყებითი განათლება;
3. ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია;
4. უცხოური ენები:
ა) ინგლისური, ბ) გერმანული, გ) თურქული,
დ) ინგლისურ-თურქული,
ე) გერმანულ-თურქული;
5. მშენებლობა განსაკუთრებულ პირობებში - სპეციალობებით:
ა) სეისმომედეგი მშენებლობა;
ბ) სპეციალური დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობა და არქიტექტურა;
6. ეკონომიკა - ფინანსები და კრედიტები - ხუთი სპეციალიზაციით:
ა) ფინანსები; ბ) კრედიტები;
გ) მრეწველობის ფინანსები;
დ) სადაზღვევო და საბანკო საქმე;
ე) სახელმწიფო შემოსავლები (გადასახადები).

უნივერსიტეტში ჩარიცხვა მოხდება სპეციალურ საგნებში გასაუბრებით (50 ბალიანი სისტემით).
ზემოთ ჩამოთვლილ სპეციალობებზე აბიტურიენტები მიიღებიან დღისა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე.
სწავლება ფასიანია. საბუთები მიიღება 5 სექტემბრამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 10-დან 16 საათამდე. სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.
განცხადებას რექტორის სახელზე უნდა დაერთოს: საშუალო ან საშუალო-სპეციალური სასწავლებლის ატესტატი (დედანი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 086), 6 ფოტოსურათი. პასპორტს და სამხედრო ბილეთს წარმოადგენთ პირადად.

ცნობებისათვის მიმართეთ:
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 61, 151-ე საშ. სკოლა.
მეტრო „დელისთან“ ტელეფონი: 31-58-11.

საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირთან არსებული
თბილისის ბიზნესის ინსტიტუტი
აგრძელებს მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობაზე (ქართული და რუსული სექტორები):
ეკონომიკურ ფაკულტეტზე: საგარეო ეკონომიკური, საკურორტო და ტურიზმის, სავაჭრო კომერციული, საფინანსო-საკრედიტო, საწარმოო საქმიანობის ეკონომისტი-მენეჯერის სპეციალობებზე;
იურიდიულ ფაკულტეტზე: სამართალმცოდნე-მენეჯერის სპეციალობით.
ინსტიტუტში აბიტურიენტთა შერჩევა მოხდება მისაღები გამოცდების შეფასებების მიხედვით.
ინსტიტუტში სწავლება ფასიანია.
ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან:
1. საშუალო სკოლის, შესაბამისი სპეციალობის საშუალო სპეციალური და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულები;
2. მეორადი სპეციალობის მიღების მიზნით: ა) მესამე კურსზე მონათესავე სხვა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული პირები; ბ) მეორე კურსზე შესაბამისი საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებული პირები-სათანადო დოკუმენტების წარმოდგენისთანავე;
3. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების კონკურსგარეშე დარჩენილი დადებითი შეფასებების მქონე აბიტურიენტები.
თბილისის ბიზნესის ინსტიტუტი - რესპუბლიკაში შექმნილი პირველი არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელია, რომლის კურსდამთავრებულებმა ამჟამად სახელმწიფო გამოცდები ჩააბარეს.
ინსტიტუტის საკუთარი სასწავლო მატერიალური ბაზა, თანამედროვე კომპიუტერული ცენტრი, საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანასთან დამყარებული საქმიანი კონტაქტები, ჩამოყალიბებული მაღალპროფესიული პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივი სრულ გარანტიას იძლევა, რათა ინსტიტუტში წარმატებით მომზადდნენ სპეციალისტები საბაზრო ეკონომიკის პირობებში მუშაობისათვის.
საბუთების მიღება იწარმოებს 5 სექტემბრამდე - 10-დან 15 სთ-მდე. მისაღები გამოცდები 5-10 სექტემბერს.
საბუთები მიიღება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საყვირის ქ. № 2 III სართული. მეტროს სადგური „ნაძალადევი“ (ხუთწლედის ქუჩის დასაწყისში იონური ტექნოლოგიის ს/კ ინსტიტუტის შენობის მარჯვენა მხარეს.
ტელეფონები: 66-63-09, 66-78-70.

საქართველოს
ჰუმანიტარულ-სახელოვნებო
აკადემია
აგრძელებს მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის საშუალო, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის შემდეგ სპეციალობებზე:
ა) ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი:
1. სახვით ხელოვნებათმცოდნეობა;
2. მუსიკისმცოდნეობა;
3. კინომცოდნეობა;
4. თეატრმცოდნეობა;
5. მუზეუმმცოდნეობა.
ბ) ფილოლოგიისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტი:
1. ჟურნალისტიკა;
2. ქართული ლიტერატურა და ისტორია.
აკადემიაში სწავლის ვადა 5 წელია. სწავლების მაღალი, თანამედროვე დონის გარანტიაა უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიონალიზმი. სწავლის ორიგინალური, არასტანდარტული მოდელით კი, -აკადემია ნამდვილად პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელია.
აკადემიაში სწავლა ფასიანია.
სწავლაში განსაკუთრებულად გამორჩეული სტუდენტები მიიღებენ სტიპენდიას.
აკადემიაში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ:
1. საშუალო, საშუალო-სპეციალური ან უმაღლესი განათლების მოწმობა, დიპლომი (დედანი);
2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 086);
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
4. 6 ფოტოსურათი (3X4);
5. პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.
საბუთების შემოტანისას აბიტურიენტი იხდის სამეურნეო ხარჯების ღირებულებას.
აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს აბარებენ:
ქართულ ლიტერატურაში და საქართველოს ისტორიაში.
უმაღლესი განათლების მქონე პირები აკადემიაში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, მე-2 კურსზე.
საბუთები მიიღება ყოველდღე (გარდა შაბათისა და კვირადღისა) 1 ივლისიდან 10-დან 16 საათამდე საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასში“ შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 55, მე-3 სართული
(ვაკის სასაფლაოსთან მდებარე ტროლეიბუსის გაჩერებასთან).
ტელეფონები: 29-35-36, 29-35-25. (10-დან 16 საათამდე).
პეგასი

კომპანია „გზა" გაუწყებთ!

საფინანსო-სატრასტო კომპანია „გზა" აგრძელებს ანაბრების მიღებას. ჩვენთან საუკეთესო მომსახურება, მრავალწლიანი საფინანსო-სამეურნეო გამოცდილება, საქმის ღრმა ცოდნა.

ეს თქვენთვის ჩვენი საიმედოობის ყველაზე უკეთესი საბუთია.

კრედიტის ვადაა ერთი თვე, დივიდენდი 20 პროცენტი.

ტელ.: 99-58-81.

მისამართი: კოსტავას ქ. 14. ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" შენობა.

ერთი სავალალო ინციდენტის გამო

2 აგვისტოს შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა კვირაიამ მიიღო სამინისტროს პრესცენტრის თანამშრომლები. საუბარი შეეხო ტელეკომპანია „ოსტანკინოს" კორესპონდენტის გიორგი რატიშვილთან მომხდარ ინციდენტს.

შეხვედრისას მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომ ამ ინციდენტთან დაკავშირებით მისი ბრძანებით შექმნილი საგანგებო კომისია საფუძვლიანად იკვლევს მომხდარ ფაქტს, და მაქსიმუმ ერთ კვირაში გვექნება ამ კომისიის დასკვნა. ბატონმა შოთა კვირაიამ აღნიშნა, რომ დაისჯება ნებისმიერი პიროვნება, მიუხედავად მისი თანამდებობისა და დამსახურებისა, რომელიც ბრალეული იქნება ამ არასასიამოვნო ინციდენტში.

ამასთან მინისტრმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ სამართალდამცავი ორგანოებისადმი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დიდი მხარდაჭერის მიუხედავად, ჟურნალისტები რატომღაც ნაკლებად ინტერესდებიან ბოროტმოქმედებთან მომხდარი შეტაკების შედეგად დაღუპულ პოლიციელთა, მათი ოჯახებისა და ახლობლების ბედით.

შეხვედრის დასასრულს ბატონმა შოთა კვირაიამ აღნიშნა, რომ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ძიების შედეგები ოფიციალურად გამოცხადდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების თანდასწრებით პრესკონფერენციაზე, რომელსაც მინისტრი სპეციალურად გამართავს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

„იბერიის" ლენტიდან

აფხაზეთის სვანეთი. უახლოეს დღეებში კოდორის ხეობაში განლაგდება რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების რამდენიმე საგუშაგო.

[illegible]ᲝᲛᲘ. 4 აგვისტოს, ქ. [illegible] ეთისა და გა[illegible] ილობით, გაი[illegible] არიგი შეხვედრა [illegible] ხაზურ მხარეებს რომელზეც საბოლოოდ გაირკვევა კოდორის [illegible] ან ქართული ჯარების გაყვანისა და ლტოლ[illegible] დაბრუნების საკითხები.

გალი. აფხაზეთის რეგიონის ტერიტორიაზე, რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ჯარების კონტინგენტის შესავსებად, შეყვანილია რუსეთის შეიარაღებული ძალების სადესანტო ბატალიონი ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქიდან.

ზუგდიდი. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებისათვის შექმნილ უსაფრთხოების ჩრდილოეთ ზონაში, რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების მიერ განხორციელებული განაღმვითი ოპერაციის დროს, ამოღებულია 500-მდე ქვეითთა და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი. რუსმა სამხედროებმა გაჭიმეს 20 კილომეტრის სიგრძის მავთულხლართი მდ. ენგურის გასწვრივ და აღმართეს რამდენიმე ასეული გამაფრთხილებელი ნიშანი.

გალი. გალის რაიონში მოქმედებენ დაუდგენელი ტერორისტული ჯგუფები, რომლებიც კვლავ ნაღმავენ იმ ტერიტორიებს, რუსეთის სამშვიდობო ჯარების სამხედრო სპეციალისტებმა რომ განაღმეს.

ცხინვალი. ცხინვალის სამხატვრო სასწავლებლის დირექტორმა ალექსანდრე მაისურაძემ გვაცნობა, რომ გორში სამხატვრო სასწავლებლის ლტოლვილმა სტუდენტებმა წარმატებით დაიცვეს დიპლომები.

პრობლემა

ვერა და ვერ მივიპყარით სათანადო ყურადღება

წლეულს, პირველ ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა ჩემი წერილი „მაინც როგორ ვმართოთ? მასში მთელი სიცხადით იყო დასმული საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით აღელვებს დღეს საქართველოს მშრომელებს. წერილის გამოქვეყნებამდე ეს პრობლემები არაერთხელ დავაყენეთ საქართველოს მთავრობის წინაშე. შეხვედრა გვქონდა საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერთან ბატონ ირაკლი მენაღარიშვილთან, რომელიც დახმარებას შეგვპირდა. მან საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროსა და სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელობას დაავალა გამოეთქვათ თავიანთი დამოკიდებულება წერილში, დასმულ პრობლემებზე...

...რედაქციაში უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა მხარდამჭერი წერილები, დარგში შემავალი თითქმის ყველა პირველადი თუ გაერთიანებული პროფესიული კავშირების ხელმძღვანელები, თავიანთ მუშა-მოსამსახურეებთან შეთანხმებით, წერილში დასმული საკითხის დადებითად გადაჭრას მოითხოვდნენ. ყველას ერთხმად სურს გაუქმდეს სავალდებულო სადაზღვევო შენატანი ხელფასიდან ერთი პროცენტის ოდენობით, ყველანი აცხადებენ, რომ თუ ეს საკითხი უარყოფითად გადაწყდება, მაინც არ გადაიხდიან აღნიშნულ თანხას. ჩვენი კომიტეტის წამოწყებას მხარი დაუჭირეს დარგობრივმა კომიტეტებმა. როცა ამ საკითხების ირგვლივ ასეთი დაძაბულობაა, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მართველობა კომიტეტს აცნობს ფინანსთა სამინისტროს პასუხს, რომელშიც სწერია: „...ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შენატანის (ხელფასიდან პროცენტის ოდენობით) გაუქმება, ვინაიდან, სოციალური უზრუნველყოფა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ვერ უზრუნველყოფს შემოსავლებით ხარჯების დაფარვას"... როგორც ჩანს, ფინანსთა სამინისტროს არ აინტერესებს კანონიერად ხდება თუ არა ამ შენატანების მოსახლეობისაგან იძულებით ამოღება. მისთვის მთავარია იარსებოს ფონდმა და სულ ერთია თანხები რა გზებით შევა ზემოაღნიშნულ ფონდში. ჩვენთვის განსაკუთრებით საოცარი იყო ის ფაქტი, რომ აღნიშნულ წერილს ხელს აწერდა მინისტრის მოადგილე ბატონი მ. მურჯიკნელი, რომელიც სულ რაღაც 4-ოდე თვის წინათ ჩვენი კომიტეტის სახელზე გამოგზავნილ წერილში სრულიად სამართლიანად წერდა: „მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შენატანი ხელფასის 1 პროცენტის ოდენობით დაწესებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ და მისი გაუქმება მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციაა", ამ შემთხვევაში ბატონ მურჯიკნელს ვერაფერში შეედავები, მაგრამ ისმის კითხვა, როდის იყო გულწრფელი მინისტრის მოადგილე, 1994 წლის 28 თებერვალს თუ 1994 წლის 16 ივნისს?!

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო კი, აღნიშნულ საკითხზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს აცნობებს, რომ „...ყველა განვითარებულ ქვეყნებში ეს საკითხი უპირატესად სავალდებულო სახელმწიფოებრივ ხასიათს ატარებს და იქ ანარიცხებიც გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის (1 პროცენტი) არის დაწესებული". ვერაფერს იტყვი, უკეთეს პასუხს კაცი ვერც ინატრებდა. საქართველოს მოსახლეობა ერთად მოითხოვს ამ ახალი ტიპის ბეგარისაგან თავის დაღწევას, სავალდებულო შენატანის გაუქმებას, მინისტრის პირველ მოადგილეს, ბატონ თ. ჩიქვაიძეს კი ეს გადასახადი ეცოტავება კიდეც. აქ არ შემიძლია პირადად მას არ დავუსვა ასეთი შეკითხვა: რომელ განვითარებულ ქვეყანას თუ სახელმწიფოს ადარებდა ამ პასუხის მომზადებისას ჩვენს ბედუკუღმართ სამშობლოს ბატონი თ. ჩიქვაიძე — სომალს ხომ არა?!

განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა წერილში დაყენებულ საკითხებს უპასუხებს და განმარტავს სოცუზრუნველყოფისა და დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორი ბ-ნი ოთარ ხუფენია. აი, რას წერდა ბატონი ოთარი მინისტრთა კაბინეტს ჯერ კიდევ 1993 წლის 23 ივლისს: „...საქართველოს მოქალაქეთა მიერ სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან რესპუბლიკურ ფონდში სავალდებულო სადაზღვევო შენატანების გადახდის პირობები და წესები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 29 მაისის № 443 დადგენილებით იქნა დამტკიცებული" (გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ამ განმარტებას, ჩვენ მას ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით) და იქვე: „აღნიშნული ღონისძიებების გატარებით ბუნებრივია, რომ მომუშავეთა ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუარესებულა!!!

ამის შემდეგ აზრს იცვლის ბატონი ოთარი და 1994 წლის 14 თებერვალს გვწერს, რომ „... ხელფასიდან 1 პროცენტის გადახდის დაწესება, მთავრობის მიერ, 1990 წელს მოხდა ერთდროულად საშემოსავლო გადასახადის იმავე ოდენობით შემცირების პირობებში და ეს სოლიდარობის პრინციპებზე დამყარებული არისო. ეს კიდევ არაფერი, ძვირფასო მკითხველო! ამის შემდეგ ბატონი ოთარი თავის მომავლის გეგმებმა ამ ახალი ტიპის ბეგარის გაზრდის თაობაზე ისე გაიტაცა, რომ 1994 წლის 11 მაისის „06/20-77 წერილით მინისტრთა კაბინეტს აცნობა პასუხი, რომელშიც, ჩვენს მიერ დასმულ არც ერთ კითხვას არ უპასუხებს, უფრო მეტიც, მიგვაჩნია, რომ ფონდის გენერალური დირექტორი ბ-ნი ოთარ ხუფენია უპასუხისმგებლობას იჩენს, როცა აცხადებს, რომ „...პროფკავშირთა წევრების რაოდენობის შემცირებისა და ნებაყოფლობით საწევროების აკრეფასთან დაკავშირებული სიძნელეები", თურმე, გვაიძულებს მთავრობის წინაშე კატეგორიულად დავსვათ სავალდებულო სადაზღვევო შენატანების ხელფასიდან პროცენტის ოდენობით გაუქმების საკითხი. გაუგებარია რა კავშირი დაინახა ბატონმა ოთარმა ამ ორ საკითხს შორის?! აქვე აღვნიშნავთ, რომ მან ამ შეკითხვას ვერც ჩვენთან, უშუალოდ შეხვედრისას გასცა პასუხი. ეს შეხვედრა გაიმართა 1994 წლის 22 ივლისს, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტში, შეხვედრას პროფესიული კავშირის აქტივის გარდა, ქართული კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, ამ შეხვედრისას ბ-ნი ოთარ ხუფენიას გამოსვლა თითქმის არ ეხებოდა გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში დასმულ პრობლემებს, არამედ იყო ზოგადი, ძირითად საკითხებზე პირდაპირი პასუხის გაცემის გვერდის ავლის მცდელობა, და მაინც, როცა ვაიძულეთ პირდაპირ ეპასუხა კონკრეტულ შეკითხვებზე, მან განაცხადა: დიახ, დღეს ძალაში აღარ არის 1990 წლის 10 დეკემბრის № 743 დადგენილება, ჩვენ ვხელმძღვანელობთ მთავრობის 1991 წლის 29 მაისის № 443 დადგენილებით, სადაც დეტალურად არის მოცემული მოქალაქეთა მიერ სოცუზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიან რესპუბლიკურ ფონდში სავალდებულო სადაზღვევო შენატანების პირობები და წესებიო... ...ფაქტობრივად ამით მან კიდევ ერთხელ გაიმეორა თავისივე 1993 წლის 23 ივნისის 06/12-242 წერილის კონცეფცია, მაგრამ მოდით, პატივცემულო მკითხველო, ერთად ვნახოთ რა წერია ბატონ ოთარის მიერ დასახელებულ დოკუმენტის პირველსავე მუხლში? იქ წერია: „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირების კონფედერაციის 1990 წლის 10 დეკემბრის № 743 დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შენატანები დადგენილია ხელფასის 10 პროცენტის ოდენობით".

სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული, ბატონო ოთარ! ვინაიდან ამ დადგენილებით კი არ არის მიღებული ამ ბეგარის ამოღების წესი, არამედ აქ უბრალოდ მითითებულია ის დადგენილება, რომელიც თქვენივე განცხადებით და, ჩვენი ღრმა რწმენით, კარგახანია ძალადაკარგულია... სწორედ ამიტომ მიედინება თქვენს დაქვემდებარებაში მყოფ ფონდში, უკანონოდ, საქართველოს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის 1 პროცენტი.

დღეს, როცა ასე უჭირს ხალხს, შიმშილი და მათხოვრობა ქართველი კაცისათვის ჩვეულებრივ ამბად იქცა, ამ პირობებში რაიმე სავალდებულო გადასახადებზე ლაპარაკი და ახალი ტიპის ბეგარის დანიშვნა, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია და უცილობლად მიგვიყვანს ანაქრონიზმამდე.

სწორედ ამიტომ, უკვე მერამდენედ მივმართავთ მთავრობას გაასწოროს თავისივე უნებლიედ დაშვებული შეცდომა და გაათავისუფლოს საქართველოს მოსახლეობა ახალი ტიპის ბეგარისაგან.

რაც შეეხება საკითხს პროფკავშირების სოციალური პროგრამების, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფდაავადებათა დადგენას, ტექნიკური ინსპექციის საქმიანობას, ბავშვთა გამაჯანსაღებელი ბაზების, პროფილაქტორიუმების, სანატორიულ-კურორტული მკურნალობის ორგანიზაციას დასაფინანსებლად ჩვენი კომიტეტის მიერ სპეციალურად გახსნილ ანგარიშზე, ჩვენს დარგში შემავალმა ყველა სამინისტრომ, უწყებამ, დეპარტამენტმა, დაწესებულებამ და ორგანიზაციებმა (საკუთრების ფორმის მიუხედავად) სახელმწიფოსაგან უკვე დაწესებულ სავალდებულო სოცდაზღვევის შენატანებიდან, ტარიფით ხელფასის 26-37 პროცენტიდან (მეურნეობრიობიდან გამომდინარე) ყოველთვიურად ჩაერიცხოს 10-12 პროცენტი, ჩვენ ამავე პოზიციაზე ვრჩებით, რადგან იგი სრულად შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 28 თებერვლის № 22 ბრძანებულებას. საქართველოს კულტურის გადარჩენა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს შევუქმნით მოღვაწეობისა და დასვენების მინიმალურ პირობებს მაინც. ამიტომ კომიტეტი რჩება თავის პირვანდელ პოზიციაზე და საქართველოს მთავრობისაგან კიდევ ერთხელ მოითხოვს:

1. გაუქმდეს მოქალაქეთა სავალდებულო სადაზღვევო შენატანები, ხელფასის ერთი პროცენტის ოდენობით ანუ როგორც მას უკვე ხალხში ეძახიან — მთავრობის მიერ უკანონოდ დაკანონებული ახალი ტიპის ბეგარა;
2. დაუბრუნდეს პროფესიულ კავშირებს სოციალური დაზღვევის სამსახურის ის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფდა მშრომელთა სამედიცინო, საწარმოო საქმიანობით გამოწვეული დაავადებების (პროფდაავადებები) დადგენას, ასევე, ბავშვთა გამაჯანსაღებელი ბაზების, პროფილაქტორიუმების, სანიტარიულ-კურორტული მკურნალობის ორგანიზაციას.

წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი იხსნის პასუხისმგებლობას მოსალოდნელი სოციალური აფეთქებისაგან და მთელ პასუხისმგებლობას მოსალოდნელ შედეგებზე საქართველოს მთავრობას აკისრებს. უფრო მეტიც, ჩვენი პროფესიული კავშირი, სხვა დარგობრივ კავშირებთან ერთად, დავიწყებთ საპროტესტო აქციებს და მანიფესტაციებს ამ საკითხების დადებითად გადაწყვეტისათვის.

სპარტაკ ხატიაშვილი,
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

ვაჟაობა ჩარგალში

რა ტურფა სანახავია...

ვაჟა ბუნების დიდი შვილი იყო, მისი მესაიდუმლე და მართლაც, გასულ შაბათს, აქაური ამინდი პოეტის გულისთქმის საცნაური გახლდათ. აწეწილ ნისლებსა და წვიმაში თითქოს მგოსნის ნაღველი გამოკრთოდა სამშობლოს მძიმე ხვედრის გამო, ხოლო შემდეგ ღრუბლები გადაიყარა, ცა განათდა და იმდის ცისარტყელა ჩამოდგა არაგვის ხეობაში.

მგოსნის ამ მარადიულ ამბიონს შესანიშნავად ეხმიანებოდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის გულითადი მისალმება, რომელიც ზეიმის მონაწილეებს გადასცა პარლამენტის სპიკერმა ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ. ამ დღეს ჩარგალში გამართულ ზეიმზე წარმოთქმული ყოველი სიტყვა, ლექსი, დუშელი და თიანელი ახალგაზრდების ცეკვა, სიმღერა მის მონაწილეებს განაწყობდა ერთიანობის სულისკვეთებით, რომელიც ასე სწყუროდა ვაჟას:

> **„რა ტურფა სანახავია**
> **ქვეყანა შეკვათა-მყოფელი,**
> **ერთის ფიქრით და გრძნობითა**
> **განმტკიცებული სოფელი,**
> **მტერს რა ლამაზად დახვდება**
> **არსებით განუყოფელი!"**

სახალხო ზეიმი შესავალი სიტყვით გახსნა დუშეთის რაიონის გამგებელმა კობა ბუჩუკურმა.

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ ისაუბრა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების უკვდავებაზე. სიტყვით გამოსულმა მწერლებმა, პოეტებმა, კულტურისა და მეცნიერების წარმომადგენლებმა, აღნიშნეს პოეტის სიდიადე, თქვეს, რომ კიდევ უფრო უკეთ შესწავლა და გამოცემა სჭირდება რაზიკაშვილთა შემოქმედებით მემკვიდრეობას.

ზეიმის მონაწილე ადგილობრივმა ფშავის მოსახლეობამ, დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობამ მზადყოფნა გამოთქვა — აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბახტრიონის გმირთა საბრძოლო დროშის წინამძღოლის — ლაშარისჯვარის კომპლექსის რესტავრაციაში, რომლის დამთავრება საქველმოქმედო წესით გადაწყვეტილი აქვს დუშეთის რაიონის მკვიდრს, თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორს ქალბატონ მზია პაპიაშვილს.

ვაჟა-ფშაველას შვილიშვილმა, ჩარგლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა ალექსი რაზიკაშვილმა, მადლობა გადაუხადა სტუმრებს, დამსწრე საზოგადოებრიობას ამ მძიმე პერიოდში ასეთი შესანიშნავი, ტრადიციული ზეიმის მოწყობისა და მობრძანებისათვის.

იზა ჯაჯვაძე,
ხვთისო არჩემაშვილი,

ჩოგანი

სტუდენტ-მოჭადრაკეთა წარმატება

ბულგარეთის დედაქალაქმა უმასპინძლა მსოფლიოს 1944 წლის პირადგუნდურ ჩემპიონატს ჭადრაკში სტუდენტთა ნაკრებ გუნდებს შორის, სადაც ბრწყინვალედ ითამაშა ჩვენი ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა. ქართველმა სტუდენტმა მოჭადრაკეებმა, რომლის ძირითადი ბირთვი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოჭადრაკეებისაგან იყო დაკომპლექტებული. 17,5 ქულა მოაგროვა და მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო ტიტული მოიპოვა. ჩვენი გუნდის სპორტულ ღირსებას იცავდნენ, საერთაშორისო ოსტატი თამაზ ტაბატაძე (თბილისი), ოსტატები — სანდრო დგებუაძე (თბილისი), რომან სიჭინავა (სენაკი) და საერთაშორისო დიდოსტატი ნინო ხურციძე (თბილისი). გუნდის მწვრთნელი იყო თამაზ კიკიანი. ქალთა დაფაზე დიდოსტატმა ნინო ხურციძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მეორე ადგილზე 17 ქულით გავიდა რუსეთის სტუდენტთა ნაკრები. მესამეზეა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ხოლო მეოთხეზე გერმანიის მოჭადრაკეთა ნაკრები.

ვულოცავთ საქართველოს სტუდენტ-მოჭადრაკეთა ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო წოდებას.

„შაში, კამათელო!"

თბილისის სპორტის სასახლეში დასრულდა საქალაქო ტურნირი სპორტულ ნარდში ამავე სასახლის დაწესებულ პრიზებზე. პროფესიონალ მონარდეთა შორის მთავარი პრიზი და ფულადი პრემია მოიპოვა გლდანის არასაუწყებო დაცვის ვიცე-პოლკოვნიკმა თეიმურაზ ქურციკიძემ, ხოლო მოყვარულთა შორის პრიზი ხვდა ანზორ ჩანტლაძეს.

გუნდურ ჩათვლაში პირველი იყო სპორტული კლუბი „გურული".

ბასტი-ბუბუ სცენაზე

ამ დღეებში ბასტი-ბუბუმ თავისი დაბადების დღის აღსანიშნავად მშვენიერი კონცერტები გაუმართა დედაქალაქელ ბავშვებს და არა მარტო მათ... სახელმწიფო ფილარმონიის დიდი დარბაზი რამდენიმე დღის განმავლობაში სავსე იყო მაყურებლით. ერთმანეთს სცვლიდა სიმღერა, ცეკვა, აერობიკა. სიხარული და ღიმილი იფრქვეოდა ირგვლივ. ყველასათვის საყვარელი ბასტი-ბუბუს ბავშვები კვლავაც მრავალჯერ გაგვახარებენ.

სიმონ კილაძის ფოტო და ტექსტი.

კორპორაცია „ლეგია და კომპანია"

აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის
უნივერსიტეტში (ყოფილი ასოციაცია
„ფალავანის" უნივერსიტეტი) შემდეგ სპეციალობებზე:

1. ჟურნალისტიკის ფაკულტეტი (საერთაშორისო ჟურნალისტიკა, ტელე-რადიო ჟურნალისტიკა), ქართული და რუსული სექტორები;
2. ფილოლოგიის ფაკულტეტი (ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენა და ლიტერატურა)
3. იურიდიული ფაკულტეტი (სამართალმცოდნეობა) ქართული და რუსული სექტორები
4. საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტი (დიპლომატია, საერთაშორისო სამართალი, საბაჟო სამართალი)
5. ეკონომიკური ფაკულტეტი (საგარეო პოლიტიკა და ეკონომიკა; საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები და საბანკო საქმე, მომსახურების ფირმის ეკონომიკა და მართვა, სამრეწველო ფირმის ეკონომიკა და მართვა, სპორტის, ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობა).
6. სპორტული ფაკულტეტი (აღმოსავლური ორთაბრძოლა — ძიუდო, კარატე)
7. სამედიცინო ფაკულტეტი — (სამკურნალო საქმე, პედიატრია, სტომატოლოგია) — ქართული და რუსული სექტორი
8. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი — პედაგოგიკა

ყველა ფაკულტეტზე, სამედიცინოს გარდა ფუნქციონირებს დაუსწრებელი სწავლების განყოფილება.

უნივერსიტეტში საკონკურსო შერჩევით მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა)
2. ფილოსოფიის ფაკულტეტზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი);
3. იურიდიულ ფაკულტეტზე — ისტორია (წერა)
4. ეკონომიკურ ფაკულტეტზე — საერთო გასაუბრება
5. სამედიცინო ფაკულტეტზე — ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა)
6. სპორტულ ფაკულტეტზე — სპეციალობა (ძიუდო, კარატე)
7. ფიზიკა-მათემატიკა — მათემატიკა (გასაუბრება)

მისაღები გამოცდები ჩატარდება 1994 წლის 15 აგვისტოდან, საბუთების მიღება იწარმოებს 14 აგვისტომდე.

უნივერსიტეტში სწავლა ფასიანია, კონკურსში მონაწილეობა — უფასო.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ
ქ.თბილისი, დ.უზნაძის ქ.70 (ყოფილი კამოს ქ.)
ტელ. 95-89-44, 95-80-13. 95-78-47

ხსოვნა

გენერალ-ლეიტენანტი
ლერი აბაშიძე

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის, უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის სამხედრო ინსპექტორებისა და კონსულტანტების ჯგუფის ყოფილი უფროსი და მთავარი მრჩეველი, გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი ლერი ივანეს ძე აბაშიძე.

გენერალმა ლერი აბაშიძემ განვლო პროფესიონალი სამხედროს ძნელი და სახელოვანი გზა რიგითიდან ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილემდე.

დაიბადა 1935 წლის 25 დეკემბერს, ვეტერინარი ექიმის ოჯახში. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ შევიდა რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის სამხედრო სასწავლებელში, რომელიც 1959 წელს წარმატებით დაამთავრა. მსახურობდა ოცეულის, ასეულის მეთაურად, დაამთავრა მ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია, შემდეგ ბაიკალისპირეთის სამხედრო ოლქში მსახურობდა მოტომსროლელი ბატალიონის, პოლკის მეთაურის მოადგილედ, პოლკის მეთაურად. პოლკის საბრძოლო მომზადებაში მოპოვებული წარმატებებისათვის ახალგაზრდა მეთაური ჯილდოვდება „წითელი ვარსკვლავის" ორდენით, მალე ლერი აბაშიძე ინიშნება ცალკე ნაწილის მეთაურად, საიდანაც მას აწინაურებენ სამოსწავლო გვარდიული სატანკო დივიზიის მეთაურის მოადგილედ. 1978 წელს პოლკოვნიკი ლერი აბაშიძე დაინიშნა 91-ე მოტომსროლელი დივიზიის მეთაურად. შენაერთის საბრძოლო მომზადებაში მოპოვებული წარმატებებისათვის 1976 წელს მას ენიჭება გენერალ-მაიორის წოდება და მე-12-ე საარმიო კორპუსის მეთაურის მოადგილედ აწინაურებენ.

გენერალი ლერი აბაშიძე 1981 წელს დაინიშნა აფხაზეთის ასსრ სამხედრო კომისრად და ქალაქ სოხუმის გარნიზონის უფროსად. 1989-1991 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილედ.

გენერალი ლერი აბაშიძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ჯარებში. ის სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. დაჯილდოვებული იყო ორი საბრძოლო ორდენით, მრავალი მედლითა და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო ჯილდოებით.

გენერალმა ლერი აბაშიძემ ავადმყოფობის გამო ბევრი ვერ მოასწრო, მაგრამ გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული ეროვნული არმიის მშენებლობის საქმეში.

არაერთი სახელოვანი გენერალი და ადმირალი გამოზარდა საქართველომ. ქართველ მხედართუფროსთა სახელოვან გალერეაში სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა ადგილი ვაჟკაცობით ქებულმა რაინდმა, გენერალ-ლეიტენანტმა ლერი აბაშიძემ.

ე. შევარდნაძე, ო. ფაცაცია, ვ. გოგუაძე, ჯ. იოსელიანი, თ. ნადარეიშვილი, ნ. ნათაძე, ვ. ნადიბაიძე, შ. რეხვი, გ. ნიკოლაიშვილი, ნ. თათარაშვილი, ვ. ბიჭაძე, ვ. გურგენიძე, თ. დუმბაძე, გ. ვაშაკიძე, ი. ბჟარიშვილი, გ. ყარყარაშვილი, ვ. ჩხეიძე, ვ. ჩიქოვანი.

გიორგი ასამბაძე

65 წლისა გარდაიცვალა გადამდგარი პოლკოვნიკი, შეიარაღებული ძალებისა და შრომის ვეტერანი გიორგი (ჟორა) სიმონის ძე ასამბაძე.

დაიბადა თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა თბილისის სამთო-საარტილერიო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1952 წელს და მიენიჭა ლეიტენანტის წოდება.

1952-1957 წლებში მსახურობდა სამხედრო ნაწილებში ოფიცრის სხვადასხვა თანამდებობაზე. 1957-1980 წლებში კი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის სისტემაში. 1974-1980 წლებში იგი იყო თბილისის დიდუბის რაიონის სამხედრო კომისარი.

30 წლის სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში გ. ასამბაძემ თავისი წვლილი შეიტანა ახალგაზრდობის აღზრდის, შეიარაღებული ძალების განმტკიცებისა და მისი სამობილიზაციო მზადყოფნის საქმეში.

დაჯილდოებული იყო სახელმწიფო ჯილდოებით. გიორგი ასამბაძე არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ დაუღალავად მუშაობდა სამოქალაქო ორგანიზაციებში სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოებზე. გარდაცვალებამდე იყო გაერთიანება „საქტრანსგაზის" მომარაგებისა და კომპლექტაციის ბაზის დირექტორი, სადაც ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც ხელმძღვანელთა, ასევე თანამშრომლებს შორის.

შესანიშნავი მოქალაქის, პრინციპული, ყურადღებიანი და მოსიყვარულე ადამიანის, ძირძველი თბილისელის — გიორგი ასამბაძის ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს კოლეგებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატი.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 58 წლის ასაკში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი

ლერი ივანეს ძე აბაშიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატი ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ყოფილი მთავარი სამხედრო მრჩეველი, გენერალ-ლეიტენანტი

ლერი აბაშიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს მწერალ ჭაბუა ამირეჯიბს დის

როდამ ირაკლის ასულ ამირეჯიბის

გარდაცვალების გამო.

ფირმა ცისარტყელა

☎ 37-03-26

აგვისტოში
გთავაზობთ დასვენებას
ქობულეთის სასტუმრო
ინტურისტში.
მოგვმართეთ ყოველდღე
შაბათ-კვირის გარდა,
1-დან 17 სთ-მდე,
გოთუას 14,
VII სართული.

იყიდება

სასწრაფოდ ორსართულიანი კაპიტალური აგარაკი
მანსარდით, ყოველგვარი ხეხილის მსხმოიარე
ბაღით, ტყის პირას, ექიმების პრესტიჟულ
საგარაკო დასახლებაზე.

ტელ: 60-21-68

იყიდება კერძო ბინა ზემელზე, ორი ოთახი, ლია აივნით და სამზარეულოთი.

მისამართი: გაბაშვილის, 5, იკითხეთ მანანა (კინოს სახლის უკან).

ტელეფონი: 98-61-57.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოსიაშვილი.